გიორგი მალაშხია

მოგების მეტათეორია

ახალი ხედვა

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი მალაშხია

მოგების მეტათეორია

ახალი ხედვა

თბილისი
2012

უაკ 003.13

ნაშრომში გადმოცემულია მოგების სრულიად ახალი, არსებული თეორიებისაგან რადიკალურად განხვავებული, გაგება. ნაშრომი ადრე (2007 წ.) გამოცემული წიგნის "მოგების მეტათეორიის (რა არის სინამდვილეში მოგება?)" გადამუშავებული და დაზუსტებული ვარიანტია.

განკუთვნილია მეცნიერ-მკვლევართა, სტუდენტებისა და ეკონომიკური თეორიის პრობლემებით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ნოდარ ჭითანავა,
ეკონომიკის დოქტორი
ნათია შენგელია
რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
გიორგი ცაავა,
პარმენ ლემონჯავა,
შოთა ვეშაპიძე
Gგამომცემლობა ,,ტექნიკური უნივერსიტეტი". 2012

ISBN 978-9941-20-162-2
http:// www.gtu.ge/ publishinghouse/
ყველა უფლება დაცული ,ოგნის ნებისმიერი ნაწილის (ციტატი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოუენება არც ერთი ფორმია და საშუალრბით (ელექტრონული, თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლობის წერილობთი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

შინაარსი

რედაქტორებისაგან 4

წინათქმა 9

1. **Qui pro quo** მოგების ირგვლივ 12
2. წმინდა პროდუქტი, როგორც მოგების პირველსახე. პირველი ეკონომიკა. 18
3. წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნა. მეორე ეკონომიკა. 34
4. მოგების გამოყენება და საყოველთაო კეთილდღეობა. მესამე ეკონომიკა 58

დასკვნა 67

დამატება 70

რედაქტორებისაგან

ყველასათვის ნათელია, რომ მეცნიერების განვითარება ემყარება ახალ ცოდნას, რომელიც მნიშვნელოვანი კვლევების შედეგად მიიღება და არსებულ თეორიას ამდიდრებს, აზუსტებს ან უარყოფს. გიორგი მალაშხიას ნაშრომი "მოგების მეტათეორია: მოგების ჭეშმარიტი არსი და აზრი. ახალი ხედვა", მოგების არსებულ თეორიებთან შედარებით, რადიკალურად განსხვავებული შეხედულების ძიებაა. ავტორი კრიტიკულად განიხილავს მოგების ცნობილ თეორიებს და თვლის, რომ მათში ადეკვატურად არ არის გადმოცემული მოგების ღრმა არსი, სოციალური ბუნება, წარმოქმნის, მითვისებისა და გამოყენების პროცესი. ავტორის მიერ შემუშავებულია მოგების ახალი თეორია, რომელიც, მისი განმარტებით, ემყარება ეკონომიკურ მოვლენათა ღრმა წვდომას, მოგების ძირეული ასპექტების ფუნდამენტურ კვლევას, რამაც შეიძლება მოგვცეს ახალი ცოდნა მოგების შესახებ.

ავტორს უნდა დავეთანხმოთ, რომ მოგების ჭეშმარიტი თეორია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოგების ფენომენის ღრმა გაგებისათვის, არამედ საერთოდ მეცნიერული ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვისაც.

გიორგი მალაშხიასეული მოგების ორიგინალური თეორია შეიცავს მოგების კატეგორიის შესახებ ნოვაციურ კონცეპტუალურ დებულებებს, რომლებიც სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს მოგების წარმოქმნას, განაწილებასა და გამოყენებას, როგორც სამერთიან პროცესს. იგი სამ ეკონომკას გამოყოფს: პირველი _ მოგების წყაროს _ წმინდა პროდუქტის წარმოქმნა; მეორე _ შემოსავლების განაწილების საბაზრო მექანიზმის მოქმედებით წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნა, ეკონომიკური სუბიექტების მიერ მისი მითვისება; მესამე _ მოგების გამოყენება ცალკეული სუბიექტებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობისა და განვითარებისათვის.

გიორგი მალაშხიას მიერ შემოთავაზებული მოგების ახალი თეორია ემყარება ავტორის ხანგრძლივ კვლევებს და ადრე გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს: "მეტაეკონო-მიკა _ ეკონომიკის ფილოსოფია", "მოგების მეტათეორია. რა არის სინამდვილეში მოგება?" და სხვ. ამ თეორიის ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება მოკლედ გადმოვცეთ.

1. არასწორია მოგება წარმოვიდგინოთ წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორის _ კაპიტალის, შრომის ან მეწარმოებრივი უნარის მოქმედებით შექმნილი შემოსავალი (ერთი ფაქტორი არაფერს არ ქმნის), რომელიც მითვისებულია ეკონომიკური სუბიექტების მიერ, როგორც ამას ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულებები გვიმტკიცებს. მოგება _ ესაა ეკონომიკური საქმიანობის, ე.ი წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მოქმედების წმინდა ანუ დანახარჯებზე მეტად წარმოქმნილი პროდუქტის სახით ეკონომიკურ აგენტთა მიერ განსაკუთრებულ (საბაზრო ურთიერთობათა) პირობებში, განაწილების ისტორიულად ჩამოყალიბებული წესისა და გარემოს ხელშეწყობით, მიღებული შემოსავლი.

2. საჭიროა მოგების ცნებისა და შინაარსის გაფართოებული გაგება. მის მიმღებ სუბიექტებად უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ კაპიტალის მფლობელები და მეწარმეები, არამედ ნებისმიერი სხვა ეკონომიკური სუბიექტებიც, ვინც იღებს და ითვისებს დანახარჯებზე მეტ შემოსავალს _ სხვადასხვა კატეგორიის მუშაკები (შრომით დაკავებული პირები და თუნდაც დაქირავებულები), აგრარულ თუ სხვა წარმოებაში თვითდასაქმებული პირები და ა.შ.

3. გიორგი მალაშხიას კონცეფციის მიხედვით, მოგების პირველსახე _ წმინდა, ე.ი. დანახარჯებზე მეტი პროდუქტი წარმოიქმნება განსაკუთრებული წყაროების მეშვეობით. ამ პროცესს ამოსავალი მნიშვნელობა აქვს მოგების წარმოქმნის თეორიული ახსნისათვის. რეალობაში კი ის არის ეკონომიკური და მთელი სოციალური პროგრესის, გაფართოებული კვლავწარმოების, საზოგადოებრივი სიმდიდრის გაზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა.

ავტორს დანახარჯებზე მეტი პროდუქტის წარმოქმნის პროცესის ახსნის მიზნით შემოაქვს სოციალური ენერგიის ცნება, რაშიც გულისხმობს ადამიანთა (საზოგადოების) დოვლათშემქმნელ პოტენციალს. სოციალური ენერგია ორ ნაწილად იყოფა: ერთი, რომლის წყაროა ფასგადახდილი (დანახარჯიანი) რესურსები, მეორე, რომლის წყაროები ფასგადაუხდელი (მუქთი, სრულიად უსასყიდლო) რესურსებია. ამ უკანასკნელთ ავტორი აკუთვნებს რიგ ბუნებრივ რესურსებს. ის აფართოებს მუქთად თუ მცირე საფასურად ანუ უმთავრესად მუქთად მიღებული რესურსების წრეს _ მასში შეაქვს "ისტორიის მუშაობა" ანუ მემკვიდრეობით წინა თაობათაგან, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, მიღებული ცოდნა, გამოცდილება, მეცნიერული მიღწევები, შემოქმედებით-კრეატიული საქმიანობის ნაყოფი _ ტექნოლოგიური და სხვა ნოვაციები, ასევე საზოგადოებისა და ეკონომიკის ფუნქციონირების კანონებისა და კანონზომიერებათა, სპონტანური საზოგადოებრივი პროცესების ადამიანთა სასარგებლო მოქმედება, რომლებშიც ადამიანების მოქმედი თაობა არაფერს არ იხდის ან რომლებსაც მცირე დანახარჯებით ჩართავს დოვლათის შექმნის პროცესში, იღებს მისგან დოვლათის გაზრდისათვის სოციალური ენერგიის მუქთ ნაწილს.

რაც მეტია ამგვარი სოციალური ენერგიის აღნიშნული წყაროების გამოყენება, მით მეტია მოგების პირველსახე _ წმინდა პროდუქტი და მოგება, საბოლოოდ სიმდიდრის ზრდის, წარმოების გაფართოებისა და კეთილდღეობის ამაღლების, საზოგადოების პროგრესის წყარო.

გიორგი მალაშხია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებაში ადრეც ცნობილი მუქთი რესურსების ცნებას (რაშიც იგულისხმებოდა მხოლოდ ბუნებრივი რესურსები და რომელშიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ავტორი უფრო ფართო აზრს დებს). მათ წმინდა პროდუქტის, შემდგომ მოგების წარმოქმნის ფაქტორის როლს ანიჭებს, რაც მეცნიერებაში ახალ თვალსაზრისად უნდა მივიჩნიოთ. გიორგი მალაშხია წმინდა პროდუქტის წარმოქმნის, მოგების წყაროს არსებობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფაქტად თვლის იმას, რომ ბუნებასა და ისტორიასთან ადამიანებს არა აქვთ კომერციული ურთიერთობა, მათგან მიღებულ რესურსებში არაფრის გადახდა არ უწევთ, მხოლოდ ცალკეულის გამოყენებაში ეწევიან დანახარჯებს, ხოლო ისინი კოლოსალურ როლს ასრულებენ დოვლათის, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის _ წმინდა (დანახარჯზე მეტი) პროდუქტის შექმნასა და გადიდებაში.

4. მოგების წარმოქმნად განიხილება ეკონომიკური სუბიექტების მიერ წმინდა პროდუქტის მითვისება არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა და შემოსავლების განაწილების საბაზრო მექანიზმის მეშვეობით. მითვისებისა და განაწილების არსებული მექანიზმის, გამოყენების წესის საფუძველზე მოგება იქცევა ეკონომიკურ სუბიექტთა და საზოგადოების კეთილდღეობისა და განვითარების წყაროდ, პირად და საზოგადოებრივ ინტერესთა აუცილებელი შეხამების პირობებში, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი არსებობა. მოგების მითვისება კერძო ხასიათს ატარებს. ამასთან, მისი გამოყენება საზოგადოებრივი ხასიათისაცაა (დანიშნულებისაცაა) – სამუშაო ადგილების შექმნა, ადამიანთა დასაქმება და შემოსავლების წყაროს გაჩენა, ქვეყნის სიმდიდრის ზრდა,

სახელმწიფოს შემოსავლების ფორმირება, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნა, საზოგადოების წევრთა სოციალური დაცვა და ა.შ.

5. ამათან, ავტორი ხაზს უსვამს მოგების მითვისებისა და გამოყენების პროცესში უსამართლობის არსებობას _ სუბიექტთა გარკვეული ნაწილის მიერ მის მიღებასა და გამოყენებას დამსახურების არათანაბარზომიერად, რაც ადამიანთა მეტისმეტი უთანასწორობის, სიღარიბის არსებობის, მაშასადამე, უსამართლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ უსამართლობის დაძლევა კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა და ობიექტური ისტორიული პროცესიც თანდათანობითი გზით ამ უსამართლობისაგან თავის დაღწევის მიმართულებით მიმდინარეობს. ნაშრომში ჩამოყალიბებულია სამართლიანი მოგების კონცეფცია: მისი, როგორც საყოველთაო, არაპერსონიფირებული, უსასყიდლო ფაქტორების შედეგის მითვისება შრომითი წვლილის, ასევე არასაბაზრო წესით განაწილების პრინციპით, გამოყენება მთელი საზოგადოების საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მისი ყველა წევრის ინტერესების შესაბამისად, რაც დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება და სამომავლოდ სრულად უნდა იქცეს რეალობად.

ასეთია მოკლედ გიორგი მალაშხიას ახალი კონცეპტუალური დებულებები მოგების ორიგინალური თეორიის გარშემო. ჩვენი აზრით, ეს ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკისათვის უთუოდ საინტერესო და საგულისხმო პარადიგმაა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. რა თქმა უნდა, როგორც ყოველ სიახლეს, ამ თეორიას ყველა არ გაიზიარებს, ეყოლება მოწინააღმდეგენი და იქნებიან მის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი გაუგებრობის ან სხვა ნიადაგზე, მაგრამ საბოლოოდ მის გარშემო უთუოდ ჩამოყალიბდება ობიექტური შეხედულება. ყველა შემთხვევაში გიორგი მალაშხიას ნაშრომის გამოჩენა მნიშვნელოვანი მეცნიერული ნოვაციაა. სასურველია, მას მკითხველთა რაც შეიძლება ფართო წრე გაეცნოს.

წინათქმა

ყველაფერი ოქრო არაა,
რაც ბრწყინავს.
ხალხური აფორიზმი

დოვლათის განაწილების, საერთოდ, და მოგების არსის, წარმოშობისა და მითვისების საკითხები, კერძოდ, მრავალი გამოჩენილი თეორეტიკოსის ყურადღების ცენტრში იყო და რჩება. მათ შესახებ ჭეშმარიტების დადგენის დიდი მცდელობის მიუხედავად, მოგება შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ბურუსით მოცულ მოვლენათა რიგს. ამასთან, როგორც სხვა ასეთ შემთხვევაშიც, არსებობს წარმოდგენა თითქოს მის გარშემო ყველაფერი მარტივი და ნათელია. შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ეს უკანასკნელი თვალსაზრისი სულაც არაა სწორი. მოგების პრობლემა დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ჯერ კიდევ გადაულახავი უსამართლობის _ დოვლათის გაუკუღმართებული განაწილების პროცესთან, რომლის ადეკვატური გაგება შემეცნების მნიშვნელოვან ამოცანად და საზოგადოების ცხოვრების კანონების ახსნის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად რჩება.

ეს ნაშრომი სწორედ მოგების გარშემო ჭეშმარიტების დადგენას ეძღვნება. იგი სოციალური და ეკონომიკური პროგრესის საკითხებზე ჩვენი დიდი ხნის ნააზრევის შემოკლებული და გამარტივებული გადმოცემაა. აქ წარმოდგენილი შეხედულება ემყარება საზოგადოებრივ, საერთოდ, და ეკონომიკურ ურთიერ-თობათა, კერძოდ, ჰუმანიზაციის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრობლემებზე ჩვენი ადრინდელი კვლევების შედეგებს, რომლებიც გადმოცემულია ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში: ,,მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია“ (1995, ქართულ ენაზე, მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე გავრცელებულია ინტერნეტით) და ,,მოგების მეტათეორია. რა არის სინამდვი-ლეში მოგება?“ (2007. რუსულ ენაზე). ამჯერად ჩვენი ცალკეული თვალსაზრისი მოგების გარშემო დაზუსტებული და განვითარებულია.

ამ ნაშრომის გამოცემის მიზანია ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი გავხადოთ ჩვენი შეხედულებები, რომლებიც **პრინციპულად განსხვავდება მოგების მარქსისტული და სხვა არსებული თეორიებისაგან.** უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული გამოხმაურება ჩვენმა მოსაზრებებმა ადრეც პოვა, მაგრამ, ვფიქ-რობთ, არასაკმარისად. ამის მიზეზად მიგვაჩნია ჩვენი ზემოთ აღნიშნული წიგნების შეზღუდული ტირაჟი, ასევე მოგების კატეგორიის სირთულე და ჩვენ მიერ გადმოცემული თეორიული დებულებების არაორდინალურობა, თეორიული საკითხებისადმი მკითხველთა სუსტი ინტერესი. გვინდა კიდევ ერთხელ გავაკეთოთ ახალი მიდგომების გავრცელების და მათ მიმართ მკი-თხველთა უფრო ფართო წრის ყურადღების მიპყრობის მცდელობა.

ჩვენი შეხედულება კრიტიკული და რადიკალურია. იგი მოგების მითვისების მახინჯ ფორმებზე, მის შედეგებზე, როგორც ისტორიულ და თანამედროვეობის უსამართლობათა ერთ-ერთ უდიდეს წყაროზე, ამახვილებს ყურადღებას, მისი აღმოფხვრის აუცილებლობას ასაბუთებს. ამასთან, ჩვენი ნაშრომი არ არის ვინმეს დადანაშაულება არსებულ უსამართლობათა გამო. ის ,,ბრალს დებს" მხოლოდ ისტორიას, როგორც ამოსავალ მიზეზს, რომელმაც უსამართლობის ტვირთი და მისი ზიდვის ხვედრი არგუნა ადამიანთა შესაბამის ფენებს საზოგადოების განვითარებისა და ცივილიზებულობის არასაკმარისი დონის გამო. უსამართლობათა გამოსწორების გზას ვხედავთ არა რევოლუციებში, მსხვერპლშეწირვაში, გადატრიალებებში, არამედ ევოლუციური ცვლილებების პროცესში, რომელიც თანდათან შექმნის პირობებს არსებულ მანკიერებათა, მათ შორის დოვლათის განაწილების, საერთოდ, მოგების მითვისების, კერძოდ, არაობიექტური წესების დაძლევისთვის, სამართლიანობის დაფუძნებისთვის.

ველოდებით მკითხველთა აქტიურ გამოხმაურებას ნებისმიერი ფორმით და მზად ვართ მათთან პაექრობისათვის. ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რომ ბევრისათვის ჩვენი თვალსაზრისი სრულიად მიუღებელი იქნება, ზოგისთვის გაუგებარი, ზოგისთვის არასაინტერესო. ზოგმა ამ ნაშრომში შეიძლება დაინახოს მთელი ეკონომიკური თეორიის გადატრიალების მცდელობაც, რადგან მოგების არსებული თეორიის ფუნდამენტური დებულებები ჩვენ მიერ უკუგდებულია. დე, იყოს ასეც! ვფიქრობთ, რომ გამოჩნდებიან გამგებნიც.

იმის გამო, რომ უცხო ენაზე არსებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები ჩემთვის მიუწვდომელი იყო, იძულებული ვიყავი მათი ციტირება გამეკეთებინა თარგმანების მიხედვით, რისთვისაც მკითხველთა წინაშე ბოდიშს მოვიხდი.

აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო იმ კოლეგების მიმართ, რომელთაც წაიკითხეს ჩემი ნაშრომი და მოსაზრებები გამოთქვეს მის გარშემო. კერძოდ, ესენია: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ანზორ აბრალავა, რევაზ ბასარია, შოთა ვეშაპიძე, პარმენ ლემონჯავა, უშანგი სამადაშვილი, გიორგი ცაავა, ნოდარ ჭითანავა; ეკონომიკის დოქტორები: ვახტანგ დათაშვილი, ზურაბ ვაშაკიძე, ნათია შენგელია, რევაზ შენგელია, გურამ ყუფუნია; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორები: ლუდმილა ანტონოვა, ვახუშტი ფარცვანია და სხვა.

1. Qui pro quo* მოგების ირგვლივ

მოგების განმარტებას ეკონომიკური საქმიანობით ან მისი შესწავლით დაკავებული ნებისმიერი სუბიექტი მოგცემოდათ, დაწყებული ადამ სმითის წიგნში მოხსენიებული ყასაბიდან თუ ლუდის მხარშველიდან ან თანამედროვე გარემოვაჭრიდან თუ ჯიხურის მეპატრონიდან, დამთავრებული სუპერმარკეტის მენეჯერით, ეკონომიკის მინისტრით და ეკონომიკის პროფესორით.Yყველა გეტყვით, რომ **მოგება არის საქმიანობის შემოსავლისა და მასზე გაწეული მთელი დანახარჯების სხვაობა.** ასეა მოგება განმარტებული ,,ეკონომიკსის" თანამედროვე სახელმძღვანელოებში. მოგების შესახებ ცოდნა ეკონომიკურ მეცნიერებაში ამით არ შემოფარგლულა. მისი რაობა, წარმოშობა და მითვისება უფრო ღრმად და ფართოდ მრავალი ავტორის ნაშრომში განიხილება, კერძოდ, კლასიკოსების – ა. სმითის, დ. რიკარდოს, ჟ. ბ. სეის, კ. მარქსის და სხვათა, ასევე თანამედროვე მკვლევარების მიერ. ახალი თითქოს რა უნდა ითქვას!

და მაინც, კრიტიკული თვალსაზრისით, საკითხში თუ ღრმად ჩავიხედავთ, აღმოჩნდება, რომ მოგების არსებული განმარტებები და თეორიებიც მისი ნამდვილი არსის, წარმოქმნისა და სოციალური ბუნების, მასში ასახული ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ სრულ ჭეშმარიტ წარმოდგენას ვერ გვაძლევს. **მოგების არსებული კონცეფციები, ისევე, როგორც სხვა სოციალური თეორიები ზედაპირულ გაგებაზეა დამყარებული ან ასახავს ადამიანთა გარკვეული ჯგუფების (ფენების) ინტერესებს,** რაც ხელს არ უწყობს მასზე ადეკვატური, ჭეშმარიტი წარმოდგენის შექმნას. მეტიც, საერთოდ, ცალკეული თვალსაზრისი ამახინჯებს სინამდვილეს, უბიძგებს მოგების დაუოკებელი, ყოველგვარ ზღვარგადასული წყურვილისაკენ, რაც საფრთხეს უქადის კაცობრიობას ბუნებასთან და თვით საზოგადოების შიგნით კონფლიქტის გამოწვევით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კრიტიკული მიდგომის საფუძველზე საჭიროა კვლევაძიება მოგების ახალი, ჭეშმარიტი თეორიის შესამუშავებლად, რომელიც ძირეულად შეცვლის სოციალურ მოვლენათა მთელ ჯაჭვზე წარმოდგენათა სისტემასაც. იგი ხელს შეუწყობს ადამიანთა სწორად აზროვნებასა და სწორად მოქმედების შესაძლებლობათა არსებობას. ეს ნაშრომი ამ მიზანს ემსახურება. იქიდან გამოვდივართ, რომ ზემოთ, მსჯელობის დასაწყისში, გადმოცემული მოგების გამარტივებული განსაზღვრება, რომელიც ტრივიალურ ჭეშმარიტებას შეიცავს და ემთხვევა მოგების შესახებ პრაქტიკის დონეზე არსებულ წარმოდგენას, აუცილებელია გაფართოვდეს და გაღრმავდეს. **საჭიროა გვქონდეს ამ მოვლენის არსისა და ბუნების მომცველი სრული და ნათელი, ახალი ჭეშმარიტი განმარტება, თეორია, რომელიც შექმნის სწორ, სრულ წარმოდგენას მოგების შესახებ**. მოგება უეჭველად ერთ-ერთი ძნელად გასაგები, გარკვეული იდუმალებით მოსილი მოვლენაა საზოგადოების ცხოვრებაში. რიგ ეკონომიკურ ურთიერთობათა მსგავსად, თავის ნამდვილ ბუნებას აშკარად არ აჩენს. ჯერ კიდევ ა. სმითი აღნიშნავდა, რომ მოგებას ხშირად ურევენ

* არევ-დარევა.

შემოსავლის სხვა სახეობებში.[1] ასევე, თანამედროვე ავტორის ფ. ნაიტის აზრით, შესაძლოა, არც ერთი ეკონომიკური ცნება "არ ყოფილა სხვადასხვა მნიშვნელობით ისე გამოყენებული, როგორც "მოგება".[2]უფრო მეტიც, მოგებაში იმალება ეკონომიკურ ურთიერთობათა მრავალი გაუკუღმართება, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ (მაგრამ არა მარქსისტული თვალსაზრისით). მართლაც, მოგების არსისა და წყაროების ირგვლივ შექმნილი მრავალი თეორია გზას უბნევს ადამიანებს. განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურაღღებას რამდენიმეზე. პირველ რიგში, ესაა თეორიები, რომლებიც **მოგებას უკავშირებს წარმოების ერთ ფაქტორს – შრომას, კაპიტალს ან მეწარმეობრივ უნარს, თვლიან მოგებას კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი ფაქტორის წარმონაქმნად, პროდუქტად.**

ცნობილია, რომ ა. სმითი მოგებას მიიჩნევდა მუშათა **შრომით შექმნილი ღირებულების (პროდუქტის)** ნაწილად. ის აღნიშნავდა: "შემოსავალს, რასაც იღებს კაპიტალიდან ის პირი, რომელიც ამ კაპიტალს განაგებს ან საქმეში გამოიყენებს, ეწოდება მოგება."[3] ა. სმითი მეწარმის მოგებას განიხილავს, როგორც წილს შრომის პროდუქტის ღირებულებაში.[4] ასევე დ. რიკარდო ფიქრობდა, რომ მოგება უდრის შრომის პროდუქტის ღირებულების ნამეტს ხელფასზე.[5] განსაკუთრებულია კ. მარქსის შეხედულება, ისევ ერთი ფაქტორის _ **შრომის, როგორც მოგების წყაროს**, შესახებ. მარქსის თეორია, როგორც ცნობილია, მიმართული იყო კაპიტალისტთა მიერ მუშათა კლასის ექსპლუატაციის დასაბუთებისაკენ. მარქსმა თავისი შრომების დიდი ნაწილი მიუძღვნა იმის დამტკიცებას, რომ მოგება არის მუშათა მიერ შექმნილი ე.წ. ზედმეტი ღირებულების (აუნაზღაურებელი შრომით შექმნილი და კაპიტალისტების მიერ უსასყიდლოდ მითვისებული ღირებულების) გარდაქმნილი ფორმა. ჯერ კიდევ რიჩარდ კანტილიონიდან მოყოლებული, რომელმაც პირველმა გააცნობიერა მეწარმის ფუნქცია, ეკონომიკის თეორეტიკოსების ერთი ნაწილი მოგებას მიაწერს ე.წ. **მეწარმეობრივ უნარს**.

ჟ. ბ. სეის თანახმად, **მოგება ნაწილობრივ კაპიტალის წარმონაქმნია და ეკუთვნის კაპიტალის მესაკუთრეს, ნაწილობრივ მეწარმის ხელში გადადის, როგორც მისი უნარის, საქმიანობის, როგორც ხელმძღვანელის როლის შედეგი და საზღაური.** როგორც ცნობილია, სეი განმარტავს, რომ წარმოების ყოველი ფაქტორი ქმნის და მათი მფლობელები იღებენ შესაბამის შემოსავალს – მშრომელი ხელფასის სახით, კაპიტალისტი _ მოგების სახით და მიწათმფლობელი (ბუნებრივი რესურსების მესაკუთრე) – რენტის სახით. სიმდიდრის (დოვლათის) განაწილების თეორიის ცნობილი ავტორი ჯ. კლარკი მიიჩნევს, რომ **"კონკურენცია მიისწრაფვის მისცეს შრომას ის, რაც მის მიერაა**

---

[1] იხ.ე. მაიბურდი. შესავალი ეკონომიკური აზრის ისტორიაში. მოსკოვი, 1996, გვ. 382. (რუსულ ენაზე).

[2] პ. ჰაინე. აზროვნების ეკონომიკური წესი. მოსკოვი, 1991. გვ. 311 (რუსული თარგმანის მიხედვით). საერთოდ სირთულეს წარმოადგენს ღირებულებით კატეგორიათა სწორად გაგება. ამაზე მიუთითებდა დ. რიკარდოც, რომელიც აღნიშნავდა: არაფერს არ წარმოუშვია იმდენი შეცდომა, როგორც ცნებათა გაურკვევლობას, რომლებიც უკავშირდება სიტყვას ,,ღირებულება." D. Ricardo. Principles of Politikal Ekonomy and Taxations. Moskov . Vol 1. 1955. P. 311. (რუსული თარგმანის მიხედვით).

[3] Adam Smith. An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations. Vol 1. P. 71. (ქართული თარგმანის მიხედვით).

[4] იქვე, გვ. 88.

[5] დ. რიკარდოს ნაშრომის ზემოთ მითითებული გამოცემა.Gგვ. 98.

შექმნილი, კაპიტალის მფლობელს _ ის, რაც კაპიტალის მიერაა შექმნილი და მეწარმეს _ ის, რაც კოორდინირების ფუნქციით იქმნება“[6] (ხაზგასმა ჩვენია _ გ. მ.). “ეკონომიკსის“ თანამედროვე სახელმძღვანელოები გვამცნობს, რომ ეკონომისტები ძირითადად განიხილავენ მოგებას, როგორც სპეციფიკური ადამიანური რესურსის – **მეწარმეობრივი უნარის _ წარმოების მოწყობასა და გაძღოლასთან დაკავშირებული აუცილებელი ფუნქციების (ინიციატივა, ინოვაციებისაკენ ლტოლვა, პასუხისმგებლობა და სხვა) შედეგსა და გასამრჯელოს.**

არსებობს თეორია, რომლის მიხედვით, მოგება წარმოიქმნება ეკონომიკური საქმიანობის **პირობების განუსაზღვრელობის** შედეგად. ამ თეორიის მიხედვით, მეწარმე საქმიანობას ეწევა განსაკუთრებულ დინამიკურ, განუსაზღვრელ პირობებში, მიმართავს ინოვაციურ ღონისძიებებს, რაც დაკავშირებულია რისკთან. ასევე ადგილი აქვს მონოპოლიური ძალაუფლების გამოყენებას. ეს მომენტები თითქოს განაპირობებს მოგების მიღებას შესაბამისი სუბიექტების მიერ. განსაკუთრებით ცნობილია ეკონომისტ ფ. ნაიტის კონცეფცია, რომელიც მოგების წარმოქმნას განუსაზღვრელობას უკავშირებს.

ზოგიერთი ავტორი გამორიცხავს **თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის პირობებში მოგების არსებობას**. ეს ლ. ვალრასიდან და ჯ. კლარკიდან მომდინარეობს და ამჟამადაც გაზიარებულია სხვადასხვა ავტორის მიერ.

ამ შეხედულებათა შესახებ მოკლედ შევნიშნავთ, რომ აუცილებელია გავმიჯნოთ მოგების **წარმოქმნისა (წყაროსა)** და **მითვისების** საკითხი. **სწორედ მათ დაცილებაში მდგომარეობს მოგებისა და საერთოდ არსებულ განაწილებით ურთიერთობათა დიდი წინააღმდეგობა და უსამართლობა.**

მოგების წარმოდგენა წარმოების **ერთი ფაქტორის მოქმედების პროდუქტის** სახით (როგორც ეს ზემოთ განხილულ ზოგიერთ კონცეფციაშია გაგებული) გაუმართლებელია, რადგან **ვერც ერთი ცალკე აღებული ფაქტორი ვერაფერს ვერ ქმნის**. ის არ შეიძლება იყოს თავისთავად პროდუქტის, მისი ღირებულების ნაწილის, მაშასადამე, მოგების შემქმნელი. **არ შეიძლება მოგების სამართლიანი მითვისების საფუძვლად გამოვაცხადოთ მხოლოდ წარმოების რომელიმე ფაქტორის ფლობა, რაც ისტორიულ უსამართლობას ემყარება.**

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მოგების წყაროს წარმოქმნა არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ **შრომას,** რომელიც დოვლათის შექმნის ამოსავალი და უმთავრესი პირობაა. უეჭველია, რომ მნიშვნელოვანია **კაპიტალის** წვლილი, მაგრამ არც ის შეიძლება მოგების წარმომქმნელად გამოვაცხადოთ. დაუშვებელია უგულებელვყოთ **მეწარმეობრივი უნარის** დიდი როლი წარმოების პროცესსა და მოგების წარმოქმნაში. არც ერთ ამ ფაქტორს არ შეუძლია იყოს პროდუქტისა და მოგების წარმომქმნელი, გარდა თანამონაწილისა ანუ, სხვანაირად, გარდა სხვა ფაქტორებთან ერთობლივი მოქმედებისა. სრულიად მიუღებელია მოგება მივაწეროთ რაღაც **განუსაზღვრელობას საერთოდ**. განუსაზღვრელობის უკან დგას რაღაც რეალური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება იყოს დიდი მოგების ან

[6] J. B. KClark. The Distribution of Wealth.Mმოსკოვი. 2000. გვ. 11 (რუსული გამოცემიდან).

დიდი დანაკარგების მიზეზი. სწორედ მათზე უნდა იყოს მსჯელობა და არა რაღაც გაუგებარ რამეზე. **ნოვაციები და სხვა განსაკუთრებული სიტუაციები**, რომლებიც ეკონომიკაში იწვევს შედეგზე ზემოქმედებას გადიდების ან შემცირების მიმართულებით, სავსებით განსაზღვრულია, ესაა ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეები, კონიუნქტურული ცვლილებები, ბუნებრივი პირობები და სხვა შემთხვევითი თუ კანონზომიერი მოვლენები. ისინი წარმოების პროცესში მოქმედებს სხვა ფაქტორებთან კავშირში და წარმოების შედეგებზე, მ.შ. მოგებაზე ახდენს გავლენას. მათ თავისი სახელი აქვს. ეკონომიკური მეცნიერება კიდეც იხილავს მათ როლს წარმოების პროცესის შედეგის წარმოქმნაში, როგორც კონკრეტულს, განსაზღვრავს მათ წვლილს მოგების მიღებაში, მაგრამ ეს არასაკმარისია მოგების სრული და ჭეშმარიტი თეორიისათვის.

მოგების არსის გაგებისათვის არაფერს საგულისმოს არ იძლევა მოგების, როგორც **რისკის გასამრჯელოს**, კონცეფცია. რისკი ვერ წარმოშობს მოგებას, თუმცა რისკიანი მოქმედება ყოველგვარ საქმიანობას ახლავს. მოგების წყაროს ის ფაქტორები ქმნის, რომლებიც რისკის პირობებში გამოიყენება. **მოგების არარსებობა** სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ასეთ საქმიანობას აქცევს აბსურდად: შედეგი უდრის დანახარჯებს, რასაც აზრი არა აქვს (ამაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ), თუმცა, სრულყოფილი კონკურენცია, როგორც ცნობილია, რეალობაში არ გვხვდება.

ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მოგების არსებული კონცეფციები მეტ-ნაკლებად დაცილებულია ჭეშმარიტებას. აღნიშნული თვალსაზრისი ნაკარნახევია ჩვენი კვლევა-ძიებით მოგების ირგვლივ. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, როგორც საერთოდ, ჭეშმარიტების მიკვლევის მთავარ საშუალებად ფუნდამენტური მიდგომა, მოვლენათა ღრმა შრეებში ჩახედვა, მათი მეტათეორიული გააზრება არის სწორი ცოდნისაკენ მიმავალი გზა.

მოგების აღნიშნული კუთხით განხილვისას, როგორც საერთოდ ამას ვაკეთებთ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა კვლევისას, ჩვენთვის ამოსავალია **ანთროპოცენტრული მიდგომა** – საკითხების განხილვა ფართო ხედვით, ადამიანთან, მის თვისებებსა და ინტერესებთან დამოკიდებულებაში, ასევე **ფასეულობითი (აქსიომეტრიული)** – სიკეთისა და ბოროტების ასპექტით, კიდევ ადამიანთა **ბედნიერების (ევდემონისტური)** თვალსაზრისით. ამჯერად ეს ნიშნავს მოგებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მიმართებას ზნეობასთან, სამართლიანობასთან, საერთოდ ჰუმანურობასთან. ამავე დროს, აუცილებლობად მიგვაჩნია მოვლენათა გენეტიკური ("ფესვებისაკენ" მიმართული) მიდგომა. შევნიშნავთ იმასაც, რომ **თანამედროვე მეცნიერება მოგების არსის, სოციალური ბუნების წვდომისაკენ არაა მიმართული, მისი ძირითადი ყურადღება მიპყრობილია მოგების მიღებისა და ზრდის (მაქსიმიზაციის) გზების ძიებისაკენ**.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი.

ჯერ ერთი, მოგების არსის ჭეშმარიტი შემეცნება ნიშნავს **ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ საკითხებში ახლებურად გარკვევას**, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის შექმნა საერთოდ;

მეორე, **მოგების ჭეშმარიტ თეორიაში** ძევს თანამედროვე განაწილებით ურთიერთობათა შემეცნების გასაღები. ასეთი თეორიის საფუძველზე ნათელი ეფინება საკითხს: **საქმიანობით მიღებული მოგებიდან ვის რამდენი ეკუთვნის და რის საფუძველზე, სამართლიანობისა და ობიექტურობის ფარგლებში; რატომ ირღვევა სამართლიანობა და ობიექტურობა რეალობაში და რა გზით შეიძლება ისინი აღდგეს; როგორ იჩენს აქ თავს თანამედროვე საზოგადოების ეთიკური სახე კაცობრიობის პროგრესის, ცივილიზაციის ასპექტით;**

მესამე, მოგების ჭეშმარიტი თეორია მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს მთელი **საზოგადოებრივი (სოციალურ-ეკონომიკური) სისტემის ბუნების, მისი ჰუმანურობის ხარისხის შემეცნებაში, ამ სისტემის სრულყოფის, მოდერნიზაციის კონცეფციის შემუშავებაში.**

2. წმინდა პროდუქტი, როგორც მოგების პირველსახე.

პირველი ეკონომიკა

დასაწყისში მოტანილი მოგების უმარტივესი, ტრივიალური გაგების, რაც მხოლოდ უზოგადეს წარმოდგენას იძლევა მის შესახებ, უფრო ფართო შეხედულებით შეცვლისათვის, მოგების ნამდვილი არსის წვდომისათვის, ჩვენი აზრით, ამოსავალი შეიძლება იყოს **გაწეულ დანახარჯებზე ნამეტი** დოვლათის (შემოსავლის) ცნება, რის წყაროების გარკვევით შემდგომ შეიძლება ნათელი მოეფინოს მოგების არსსა და აზრთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოვსახოთ იგი მარტივი ფორმულით:

$$Q > Z \quad \text{ანუ} \quad Q - Z = \Delta Q; \quad \Delta Q > 0,$$

სადაც Q არის დოვლათი (შემოსავალი), Z _ დანახარჯები, Δ - ცვლილება.

ამრიგად, მსჯელობა ეხება **წმინდა პროდუქტს (შემოსავალს)**. ცნობილია, რომ ფაქტობრივად წმინდა პროდუქტის კატეგორია მეცნიერებაში ფიზიოკრატებმა შემოიტანეს. იგი ჩვეულებრივ შექმნილი დოვლათის ნაწილია. ამით ვამბობთ, რომ წარმოებას (საქმიანობას) მაშინ აქვს აზრი, როცა ვიღებთ მეტს თავისი სარგებლობით ადამიანებისათვის, ვიდრე დავხარჯეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს წყლის ნაყვას (სიზიფის შრომას). წმინდა პროდუქტის არსებობა (წარმოქმნა) გადამწყვეტი ფაქტია წარმოების გაფართოებისა და სრულყოფის პროცესში, საზოგადოების ცხოვრებაში, მის პროგრესში. მხოლოდ ამის შედეგად საზოგადოებრივი კვლავწარმოება გაფართოებულ ხასიათს იღებს, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლების წყარო ჩნდება.

რაც უფრო მეტია მოტანილი უტოლობის მნიშვნელობა ანუ წმინდა პროდუქტი, მით მაღალ დონეზეა ეკონომიკა და საზოგადოების ცხოვრება. წმინდა პროდუქტი ისტორიულად ზრდადი ხასიათისაა. სწორედ ასე გახდა შესაძლებელი საზოგადოების სიმდიდრის კოლოსალური გადიდება, რამაც თანამედროვე ეტაპზე უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია ცალკეულ ქვეყნებსა და მსოფლიოში. წმინდა პროდუქტის როლს სათანადო ადგილი და შეფასება უნდა მიეცეს მეცნიერებისა და საზოგადოების მიერ. ეს თითქოს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ მისი არსი და წყაროები სათანადო ადგილს ვერ იკავებს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცნობიერებაში. პირველ რიგში მთავარია ვიცოდეთ, **საიდან და როგორ ჩნდება დანახარჯებზე ზედმეტი პროდუქტი, შემდეგ ის, თუ რამდენად სამართლიანად ნაწილდება და უნდა განაწილდეს, მიითვისება და უნდა მიითვისებოდეს იგი. ყველამ და თითოეულმა საჭიროა საფუძლიანად იცოდეს, სინამდვილეში რას ეფუძნება მისი სიმდიდრე და კეთილდღეობა. ყოველ შემთხვევაში მთელი საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს ამას. მაგრამ ყოველივე ეს** სიღრმისეულად, არსებითად ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაგებული.

მოგების მიღებას, ზრუნვას მისი გადიდებისათვის აზრი აქვს მხოლოდ იმით, რომ ეს არის **საერთოდ რეალური დოვლათის (სიმდიდრის) მატება ცალკეული სუბიექტებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის.** ეს მარტივი ჭეშმარიტება თავის მტვრევას არ საჭიროებს, თუმცა მოგებზე მსჯელობები, როგორც ზემოთ ითქვა, თეორიასა და პრაქტიკაში ბუნდოვან ცნებებსა და მსჯელობებშია გახვეული, რაც ადამიანებს კვალს უბნევს, მასზე სწორ წარმოდგენას უმახინჯებს. **მოგება თუ მიიღე, თითქოს ეს უეჭველად შენი დამსახურებაა, კუთვნილია. ეს ასეა? თავსატეხია ის, თუ საიდან ჩნდება ნამატი (წმინდა) პროდუქტი. მოტანილ ტრივიალურ ფორმულას თუ შევხედავთ, მასში ძევს დიდი წინააღმდეგობა: დანახარჯზე მეტი შედეგი (დოვლათი, შემოსავალი) წარმოიშობა თითქოს არაფრისაგან, რადგან ბუნების ფუნდამენტური კანონი – მასის, ენერგიის და ა.შ. მუდმივობის კანონი გვკარნახობს, რომ თითქოს რამდენიც დავხარჯეთ, იმდენი უნდა მივიღოთ. ex nihilo nihil – არაფრისაგან არაფერი არ ჩნდება, ე.ი. საიდან მოვიდა მეტი?**

გვეტყვიან: როგორ არ ვიცით, რის შედეგად არის ეს შესაძლებელი _ ტექნოლოგიური პროგრესი, მუშაკთა მაღალი კვალიფიკაცია, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მეწარმის უნარი და ა.შ. აი, ის ფაქტორები, რაც დანახარჯზე მეტ შედეგს, მის ზრდას განაპირობებს. მაგრამ ეს სულაც არაა საკმარისი ახსნა, მხოლოდ ზედაპირული, მარტივი პასუხია, რომელიც არაფერს ამბობს არსებითად იმაზე, თუ როგორ ხდება **წმინდა პროდუქტის** წარმოქმნა ტექნოლოგიების, კვალიფიკაციის და ა.შ. შემწეობით, ასევე იმაზე, თუ **ვის ეკუთვნის წმინდა პროდუქტი ობიექტურად, სამართლიანად. გაურკვეველი რჩება, როგორ გარდაიქმნება იგი სუბიექტების მოგებად, რა გადახრაა მოგების შექმნაში მონაწილეთა წვლილსა და მის მიმთვისებელთა წილებს შორის.** სწორედ

ამაში სიღრმისეულად გარკვევაა მთავარი, რომ სრული და ჭეშმარიტი წარმოდგენა გვქონდეს მოგებაზე. ჩვენ ამ გზით გვინდა წავიდეთ.

წმინდა პროდუქტი გაჩნდა და არსებობს ადამიანთა საწარმოო ძალის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ, როცა **ადამიანებმა ბუნების ძალთა და თავიანთი ცოდნისა და უნარის გამოყენებით შეძლეს მეტი დოვლათი შეექმნათ, ვიდრე დახარჯეს რესურსები ამისათვის.** წმინდა პროდუქტი თანდათან იზრდება ტექნოლოგიური და საერთო პროგრესის კვალობაზე. მოგება კი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა. მართალია, ის ძველისძველია, მაგრამ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. მაშასადამე, მოგებაზე მსჯელობა, მისი არსისა და წარმოქმნის გარკვევა წმინდა პროდუქტის წარმოების, ე.ი **პირველი ეკონომიკის** კვლევით უნდა დავიწყოთ.

მოგების არსის შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტია **წმინდა პროდუქტის მითვისება** კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ, შესაბამისი მექანიზმის არსებობა, რაც მსჯელობის შემდეგი ეტაპი უნდა იყოს.

ფიზიოკრატებმა არასრულად და არასრულყოფილად განმარტეს წმინდა პროდუქტის წარმოშობის ფაქტორები. ისინი არ შეხებიან განაწილების საკითხებს[7]. მათ მხოლოდ ბუნება ჩათვალეს წმინდა პროდუქტის შექმნის ფაქტორად. ისინი ვერ ჩაწვდნენ მისი წარმოშობის სხვა ფაქტორებს, მექანიზმს, მნიშვნელობას საზოგადოებისათვის, ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა ფორმათა, ეკონომიკურ ურთიერთობათა როლს მის წარმოქმნაში. ცხადია, რომ ამისი გაკეთება მათ არ შეეძლოთ შემეცნების იმ დონეზე.

წმინდა პროდუქტის (წმინდა შემოსავლის) ცნებებს შემდგომაც გარკვეული ადგილი ეჭირა და უჭირავს დღესაც მეცნიერებაში. ამასთან, მისი წყაროების და მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხი დღესაც არაა სათანადოდ გარკვეული და შეფასებული. მან სათანადო ადგილი ვერ დაიკავა მეცნიერებაში. პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ პრობლემის გარკვევაში მთავარ ასპექტად მიგვაჩნია **წმინდა პროდუქტის მუქთი (ბევრისთვის გაუგებარი თუ მიუღებელი) ხასიათი, უსასყიდლოდ ანუ დანახარჯზე მეტი შედეგის მიღების ფაქტი,** რაც თეორიის მიერ უგულებელყოფილი და ყურადღების გარეშეა დატოვებული. საქმე ეხება ამ ცნების არა მხოლოდ **კომერციულ გაგებას, არამედ გენეტიკურს**, **საერთო-ეკონომიკურს.**

ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ კომერციული თვალსაზრისითაც, **წმინდა პროდუქტი (დოვლათს გამოკლებული დანახარჯი) მუქთს, უსასყიდლოს, ფასგადაუხდელად მიღებულს გულისხმობს**. ვერავინ შეგვედავება, როცა ვამბობთ, რომ **მუქთი არის ის, რაზეც საკუთარი საზღაური არ გაგვიღია, არაფერი დაგვიხარჯავს.** უფრო ფართო გაგებით, მუქთად

[7] ფიზიოკრატები, მაგალითად, თვლიდნენ რომ მიწა არის სიმდიდრის ერთადერთი წყარო და მხოლოდ სოფლის მეურნეობაა მისი მწარმოებელი. იხ.: წიგნი: „25 საკვანძო წიგნი ეკონომიკაში“.. ურალ LTD. 1999. გვ. 45 (რუსულ ენაზე. თარგმანი ფრანგულიდან). წარმოება შეზღუდულია იმ სიმდიდრით, რასაც მიწა შობს. იქვე. გვ. 48.

განვიხილავთ იმას, რომლის შექმნაში არა მარტო ინდივიდს, არამედ საერთოდ საზოგადოებას არაფერი დაუხარჯავს. მაშასადამე, **მუქთში, ფართო გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ ის, რაშიც ადამიანის უშუალო მოქმედების, ძალის დანახარჯი არ ძევს პირდაპირ თუ გენეტიკურად.** ეკონომიკური სენტენცია: "მუქთი სადილი არ არსებობს", აქ უადგილოა, რადგან შეგვიძლია, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, მუქთი დოვლათის მრავალი ფაქტი დავასახელოთ. მეტიც, **საზოგადოებისა და ადამიანთა სიმდიდრის უდიდესი ნაწილი გაწეულ დანახარჯებზე მეტად რომ არ იყოს მიღებული და ადამიანები, საზოგადოება მხოლოდ იმდენს ქმნიდნენ, რამდენსაც ხარჯავენ, სულაც ღარიბებად დარჩებოდნენ, არ იარსებებდა ის უზარმაზარი სიმდიდრე, რასაც ადამიანები და ხალხები ფლობენ.** ამას ბევრი ადვილად მიხვდება, როცა დაფიქრდება, თუმცა მუქთი ეკონომიკური დოვლათის არსებობის აღიარება ბევრს უჭირს ან არ უნდა. მეცნიერთაგან ბევრმა იცის, რომ **მუქთი სიკეთის** ცნება, განსაკუთრებით ბუნების სიმდიდრეთა მიმართებით, დიდი ხანია ცნობილია რიგი ავტორის (პეტი, რიკარდო, მალთუსი, სეი, მარქსი, სტრუმილინი და სხვ.)[8] ნაშრომებიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილია ფიზიოკრატების მიერ ბუნების როლის აღიარება მხოლოდ ბუნებასთან უშუალოდ დაკავშირებულ წარმოებაში. დ. რიკარდო ეხებოდა ბუნების როლს საერთოდ მრეწველობაში. იგი წერდა: ადამ სმითი არ აუფასურებდა იმ სამსახურს, რასაც ბუნებრივი ფაქტორები და მანქანები გვიწევენ... ისინი გვიწევენ სამსახურს იმით, რომ ადიდებენ პროდუქტების რაოდენობას, ამით ადამიანებს ხდიან უფრო მდიდრებად, ადიდებენ რა სახმარ ღირებულებათა რაოდენობას. მაგრამ **ისინი ამ სამუშაოს ასრულებენ მუქთად** (ხაზგასმა ჩვენია _ გ. მ.), რადგან ჰაერით, სითბოთი ან წყლით სარგებლობისათვის არაფერს ვიხდით.[9]

ბუნების მნიშვნელობის სხვა მრავალი დადასტურება შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ ეს არ არის **მუქთი ფაქტორების სრული ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც საკითხის არსსა და ძირითად ასპექტებს მოიცავს. მუქთი ფაქტორების მთელი წრე, რომლებიც ადამიანების ხელშია და მათი როლი, რის გარეშე ისინი ბევრს ვერაფერსაც შექმნიდნენ, არ იყო და არ არის სრულად გაცნობიერებული, შეფასებული.** ჩემი მიდგომისა და მსჯელობების ფარგლებში **ფართოვდება მუქთი (ფასგადაუხდელი) ფაქტორების წრე.** მასში, ბუნებრივი წარმოშობის რესურსებთან ერთად, შემაქვს **ანთროპოგენური ძალები:** დაგროვილი ცოდნა გამოცდილება, მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევები, საზოგადოებრივი განვითარების თანმხლები პროცესები და მისთ. (მათზე ქვემოთაც გვექნება მსჯელობა), რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა უსასყიდლოდ ან მცირე საფასურით მათ ათვისებაზე. ისინი ასევე განსაკუთრებული თვისებებისაა, რის

---

[8] ბუნების მუქთი ძალების შესახებ მსჯელობა მრავლად გვხვდება ეკონომიკურ ლიტერატურაში, პრაქტიკის დონეზეც. ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ მათი დიდი ნაწილის გამოყენებაზე არაფერი იხარჯება. მხოლოდ მათ ერთ ნაწილს მოაქვს სიკეთე ადამიანებისათვის ყოველგვარი დანახარჯების გარეშე, რაც ყველამ კარგად იცის. საერთოდ უნდა განვასხვაოთ რესურსის შექმნის ხარჯები და გამოყენების ხარჯები.

[9] დ. რიკარდოს ნაშრომის ზემოთ მითითებული გამოცემა. გვ. 236.

გამო მოქმედებს ბუნების მუქთი ძალების მსგავსად. მათი მოქმედების მექანიზმი და წვლილი წმინდა პროდუქტის, საერთოდ, მისი როგორც **მოგების პირველსახის**, კერძოდ, წარმოქმნაში, საზოგადოების ცხოვრებაში მთლიანად, სულაც არაა შესაბამისად გაცნობიერებული.

საჭიროა ეკონომიკურმა მეცნიერებამ თავისი ადგილი მიაკუთვნოს **მუქთი რესურსების კატეგორიას,** როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ახსნის საკვანძო ინსტრუმენტს, რომელიც ბევრ რამეს სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს და შუქს მოჰფენს.

სხვა საკითხია **კომერციული ურთიერთობები**, როცა ნებისმიერი დოვლათის მფლობელი რაღაც ფასს (რაც გარკვეული წესით ყალიბდება ბაზარზე) ადებს თავის პროდუქტს – საქონელს თუ მომსახურებას. საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის შემდეგ წარმოშობით მუქთი პროდუქტი (შექმნილი დოვლათის ნაწილი) ანაზღაურებადი ხდება გაცვლაში მონაწილე სუბიექტებისათვის, მაგრამ ისინი ერთმანეთს უცვლიან პროდუქტებს, რომლებიც შეიცავს მუქთ ნაწილს რეალურ დანახარჯებთან შედეგების მიმართების თვალსაზრისით (წმინდა პროდუქტს). ეს გადიდებული დოვლათის ბაზაზე მოგების წარმოშობის პროცესია, რაც კომერციულ ურთიერთობათა სფეროშია მოქცეული. სხვა რამაა **წმინდა სრული პროდუქტი გენეტიკურად,** რასაც უფრო ვრცლად ცალკე განვიხილავთ[10].

მიგვაჩნია, რომ მოგების, მისი პირველსახის წყაროების არსებობისა და მოქმედების გარკვევაში **ამოსავალი წერტილია სწორედ წარმოების ფაქტორთა გარკვეული ნაწილის გენეტიკურად მუქთი ხასიათი**. აქ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფაქტორების არსებობა ორ მომენტს უკავშირება: ჯერ ერთი, მათი წარმოშობისა და არსებობის წესს და, მეორე, საკუთრების არსებობას ამ ფაქტორებზე. რაც მათ კომერციული თვალსაზრისით აქცევს ანაზღაურებადად, თუმცა, ეს საბოლოო ანგარიშით, არ ცვლის წმინდა პროდუქტის წყაროების წარმომავლობას. თავიდან ისინი, საერთოდ, მთლიანად საზოგადოების დოვლათის (სიმდიდრის) მატების ასპექტით, მუქთად (წმინდა პროდუქტის _ წმინდა შემოსავლის ფასგადაუხდელ წყაროდ) მაინც რჩება. მაგალითად, ვინ უარყოფს, რომ მზის ენერგია დედამიწაზე ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის მუქთი, უპირველესი ფასდაუდებელი წყაროა. ატმოსფეროს ნალექები და თუნდაც ჟანგბადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მუქთი წყარო არაა? განა ისინი სადმე ბაზარზე დადგენილ ფასად იყიდება? ნაყოფიერი მიწა ხომ მუქთი შემოსავლის წყაროა მისი მფლობელისათვის, რომელიც კარგ საფასურს იღებს იჯარის (რენტის) სახით. ეს მიწა გარკვეული ზომით ანაზღაურებადი ფაქტორია მისი იჯარით ამღებისთვისაც, თუმცა, მუქთ (დანახარჯზე მეტს, ე.ი. წმინდა) შემოსავალს იძლევა. სხვანაირად მის დამუშავებას აზრი დაეკარგებოდა. საბოლოო ანგარიშით, ნაყოფიერმა მიწამ საზოგადოებას მუქთი დოვლათის მიღების, მეტი სიმდიდრის შექმნის საშუალება მისცა.

---

[10] ვგულისხმობთ ნაშრომს: როგორ მდიდრდებიან ადამიანები და ხალხები, რომელიც მზადდება გამოსაცემად.

მუქთი სიმდიდრე არ არის, მაგალითად, კუვეიტის, არაბთა გაერთიანებული ემირატების ნავთობის საბადოები და მათგან მიღებული შემოსავლები და ა.შ.? უდიდესი "ძღვენი", ფასგადაუხდელი სიკეთე არ არის ბუნებრივი – ფიზიკური თუ ინტელექტუალური უნარები, ნიჭი, სილამაზე, რომლებითაც ბუნებამ ადამიანები, მართალია, სხვადასხვა ზომით, მაგრამ უხვად დააჯილდოვა? თუ არა ეს უნარები, რა ეკონომიკა და კულტურა გვექნებოდა. განა თაობები რამეს უხდიან წინაპრებს მათ მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გამოცდილების, ცოდნის, მეცნიერული აღმოჩენების, იდეების, ადამიანთა მრავალმხრივი, მ. შ. ტექნიკური შემოქმედების ნაყოფის _ გამოგონებების, მატერიალური და სულიერი სიმდიდრისათვის? მცირე მნიშვნელობა როდი აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგების მირებაში ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა როლს, რაც დანახარჯებთან არაა დაკავშირებული. ყოველივე ამათ გარეშე კაცობრიობა ხომ ისტორიის ფსკერზე დარჩებოდა. ისიც კარგი იქნებოდა, რომ თაობებს ჰქონდეთ მადლიერების გრძნობა და დააფასონ წინაპართა უანგაროდ ნაბოძები სიკეთენი.

გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ამის შეცნობისა და შეფასების გარეშე ვერ შეიქმნებოდა ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორია და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცნობიერება სანახევროდ ცარიელ ჭურჭელს დაემსგავსება.

სწორედ ადამიანთა (საზოგადოების) მიერ მუქთი (ფასგადაუხდელი) ფაქტორების გამოყენების, წარმოების დანარჩენ ფაქტორებთან – შრომასთან, კაპიტალთან, მეწარმეობრივ უნართან, სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან შეერთების წესისა და შედეგების გარკვევა საშუალებას გვაძლევს სწორად ავხსნათ წმინდა პროდუქტის, როგორც მოგების პირველსახის (წინამორბედის), წარმოქმნა და განსაზღვრულ პირობებში მისი გარდაქმნა ეკონომიკური სუბიექტების მოგებად.

წმინდა პროდუქტის წარმოქმნის პროცესის ღრმა გაგების მიზნით შემოგვაქვს "**სოციალური ენერგიის**" სპეციალური ცნება. ეს კატეგორია გვეხმარება სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა, საერთოდ, და მოგების არსისა და წარმოქმნის სიღრმისეული ასპექტების, კერძოდ, გაგებაში (თუმცა მას სხვა დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს).[11] **სოციალურ ენერგიაში ვგულიხმობთ საზოგადოების დოვლათშემქმნელ პოტენციალს, იმ წყაროთა ერთობლივ უნარს, რომელიც სოციუმის მატერიალურ და არამატერიალურ (სულიერ) სიმდიდრეს ქმნის და ადიდებს, ადამიანთა კეთილდღეობასა და მის ამაღლებას განა-პირობებს.** ეს ენერგია აერთიანებს ადამიანთა საკუთარ და ბუნებისაგან მითვისებულ ძალებს (რესურსებს), მათი სინერგიის ფორმით არსებობს. მისი შინაარსი სცილდება ფართოდ გავრცელებულ ცნებებს: "საწარმოო ძალები", "წარმოების ფაქტორები", "რესურსები", "წარმოების საშუალებები" და მისთ. ამ კატეგორიის მეშვეობით წარმოვიდგენთ საზოგადოების დოვლათშემქმნელ შესაძლებლობებს მათი რაოდენობრივი და თვისებრივი გამოვლენით,

[11] ამის შესახებ იხ. ჩემს მონოგრაფიაში ,,მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია" და სხვა ნაშრომებში.

ვაცნობიერებთ Q > Z ფორმულით გამოხატული ფაქტის წინაპირობებს, გადავჭრით დანახარჯებზე მეტი შედეგის წარმოქმნის წინააღმდეგობას – დანახარჯებისა და შედეგების მოსალოდნელი ტოლობის დარღვევას. ამით ვწვდებით რეალური წმინდა პროდუქტის, სიმდიდრისა და მისი გადიდების წყაროებს მთლიანობაში, მაშასადამე, **პროგრესის საიდუმლოს ღრმა (და არა ზედაპირულ) ფესვებს.**

სოციალური ენერგია წარმოგვიდგება ადამიანების, მათი ჯგუფების, საზოგადოების მუშაობის განსაკუთრებულ სპეციფიკურ პოტენციალად, რომელიც ფიზიკური (ბუნებრივი) და ანთროპოგენური ძალებიდან იღებს სათავეს. მისი წყაროები და თვისებები, ადამიანთა ინტერესების, დოვლათის (შემოსავლების) შექმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება, რომლებთანაცაა სწორედ დაკავშირებული წმინდა პროდუქტის არსებობა.

განვიხილოთ სოციალური ენერგიის წყაროები და მათი თვისებები.

პირველ რიგში ასეთ წყაროდ **თვით ადამიანი და მისი უნარები** უნდა ჩაითვალოს. სოციუმში ყოველივე მთავარი აქტორისაგან _ ადამიანისაგან, როგორც ძირითადი მიზეზისაგან, გამომდინარეობს. ამიტომ ადამიანს, მის ფიზიკურ და ინტელექტუალურ-შემოქმედებით ძალებს განვიხილავთ სოციალური ენერგიის ამოსავალ წყაროდ. იგი, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა. ჯერ ერთი, ესაა თვით ბუნებაში წარმოქმნილი და ევოლუციურად, ისტორიულ პროცესში განვითარებული ადამიანის ბიოლოგიური პოტენციალი და შემდეგ ადამიანთა საკუთარი ძალისხმევით შეძენილი სოციოგენური ინტელექტუალური განვითარების პოტენციალი. **განსაკუთრებულია შემოქმედებითი ნიჭით უხვად დაჯილდოებულ ადამიანთა, ინტელექტუალური ელიტის** როლი, რომელიც უზარმაზარ ბიძგს აძლევს საზოგადოებრივ პროგრესს, საერთოდ, და ეკონომიკურ პროგრესს, კერძოდ. ეს უკანასკნელი ისტორიის მანძილზე განუსაზღვრელად მზარდ მნიშვნელობას იძენს. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ თვით ადამიანში ძევს დანახარჯით მიღებული და მასზე მეტი დოვლათის (სიკეთეთა) შემქმნელი პოტენციალი: ერთი _ ბუნებისგან მიღებული და მეორე – ანთროპოგენური, მის განვითარებაში საზოგა–დოების მიერ შეტანილი ფასგადაუხდელი წვლილისაგან წარმოქმნილი.

მეორე, დაგროვილი და თაობებისათვის **გადაცემული ცოდნა, გამოცდილება, გამომუშავებული უნარ-ჩვევები, მეცნიერული აღმოჩენები, გამოგონებები, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეები, საერთოდ კულტურის, ლიტერატურის ქმნილებები და სხვა**, რომლებიც ისტორიის ძალებს, სოციალური ენერგიის წყაროს წარმოშობს ცივილიზაციის მთელ მანძილზე. ისინი დღეისათვის სხვადასხვა მასშტაბით ვრცელდება და მათი გამოყენება, უზარმაზარ მასშტაბს აღწევს. საზოგადოება, ადამიანები დანახარჯებს ეწევიან მათ გამოყენებაზე და არა მათი საფასურის გადახდაზე.

მესამე, ბუნებრივი პირობები, სიმდიდრეები: **მზის (ჰელიო) ენერგია, გეოენერგეტიკული რესურსები, წიაღისეული, ჰიდრორესურსები, ფლორა,**

ფაუნა, კლიმატური პირობები და სხვ., რომლებიც ადამიანთა საქმიანობით ჩაერთვებიან დოვლათის შექმნის პროცესში წარმომავლობით, როგორც სოციალური ენერგიის ადამიანთა ძალისხმევის გარეშე არსებული წყაროები. ისინი პრაქტიკულად უცვლელი ან შეზღუდული და კლებადია დედამიწაზე ადამიანთა მიერ მათი გამოყენების კვალობაზე. როგორც სოციალური ენერგიის წყაროს, მათი მნიშვნელობა და წვლილი იზრდება გამოყენების რაოდენობის გადიდებისა და განსაკუთრებით გამოყენების გაუმჯობესების (ხარისხის) მეშვეობით.

მეოთხე, თაობათა მიერ შექმნილი და მოქმედი თაობებისათვის გადმოცემული მატერიალური **სიმდიდრის (კაპიტალის) მარაგები, რომლებიც ამა თუ იმ ზომითა და ფორმით გამოსადეგია და ადამიანებს ეხმარება საქმიანობასა და ცხოვრებაში.** ისინი მრავალი, ხშირად ათობით წლითა და ზოგჯერ მეტი ხნით ემსახურება დოვლათის შექმნის პროცესს და მათ მეტი წვლილი შეაქვს დოვლათის შექმნაში მათზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით, მათში მატერიალიზებული ბუნებრივი ძალების (მასალების) თუ ანთროპოგენური რესურსების (ცოდნა, გამოგონებები, აღმოჩენები და სხვ.) მეშვეობით. მათთანაა დაკავშირებული შრომის ტექნიკური შეიარაღება, პროგრესული ტექნოლოგიების ათვისება.

მეხუთე, ბუნებისა და საზოგადოების, მათ შორის ეკონომიკის **კანონები, კანონზომიერებები, სპონტანური პროცესები (შრომის დანაწილება – სპეციალიზაცია, კოოპერაცია, კომბინირება, კონცენტრაცია, შემთხვევათა ხელსაყრელი თანხვედრა, სინერგიის ეფექტი) ე.წ. "უხილავი ხელი", "გამართლება" (ფორტუნას ძღვენი) და ა.შ.** ეს სოციალური ენერგიის სრულიად სპეციფიკური წყაროებია, რომლებიც მოქმედებს უხილავად, წარმოების რეალური ფაქტორებთან შერწყმულად, ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა მიმართულებით და ხელს უწყობს რესურსების მწარმოებლურობის (უკუგების) გადიდებას მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეებზე.

მეექვსე. საგანგებო ხასიათისა და მნიშვნელობისაა **სახელმწიფო და სოციალური რეგულირების ფაქტორის** როლი. მასში თავს იყრის სინერგიის განსაკუთრებული ძალები, რომლებიც პირობათა მთელ წყებას ემყარება. მისი ფესვები გადგმულია როგორც წარსულში, ისე მოქმედი თაობების უნარებში. იგი ერთგვარი კატალიზატორისა და მულტიპლიკატორის როლს ასრულებს საზოგადოების დოვლათშემქმნელი პოტენციალის ზრდისა და გამოყენების პროცესში. ეს პოტენციალი მრავალგზის სჭარბობს ამ ფაქტორზე გაწეულ დანახარჯებს. სრულიად გაუმართლებელია ამ ფაქტორის არსებობისა და წვლილის უგულებელყოფა წარმოებისა და მოგების თეორიაში, მისი სათანადოდ შეუფასებლობა.

ამ ჩამონათვალში ყველაფერი ცნობილია, მაგრამ მათ ყურადღებას მივაპყრობთ წმინდა პროდუქტის წარმოქმნის და სოციალური ენერგიის, აქედან გამომდინარე, **სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის წყაროების ხასიათის** თვალსაზრისით, რაც სათანადოდ არაა გაცნობიერებული და შეფასებული. ამ

მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა **სოციალური ენერგიის წყაროთა ფუნდამენტური თვისებები**. სწორედ მათ საფუძველზე ხდება შესაძლებელი განვსაზღვროთ წმინდა პროდუქტისა და მოგების წყაროთა წარმოქმნის ძირითადი წინაპირობები.

ეს თვისებები შემდეგია:

1. სოციალური ენერგიის აღნიშნული წყაროები, **წარმომავლობის მიხედვით, მთლიანად ან ნაწილობრივ, მუქთი ხასიათისაა, მიიღება უსასყიდლოდ ანუ არ შეიცავს ადამიანის ან საერთოდ ანთროპოგენური ძალების დანახარჯებს.** მათზე შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც **კომერციული, ისე გენეტიკური** თვალთახედვით. თავდაპირველად აქ ვგულისხმობთ კონკრეტული სუბიექტების ძალთა თუ სხვა რესურსების გამოყენებას. შემდეგ იგულისხმება მთლიანად საზოგადოების დოვლათის წარმოების ფაქტორები. ამგვარ მუქთ ძალთა მოქმედებით ვიღებთ თანაფარდობას: Q > Z, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მეტ-ნაკლები ზომით გამოვლინდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა **მუქთ ბუნებრივ ნიჭს** – კაცთა მოდგმის ბუნებრივი ევოლუციური და სოციალური განვითარების მუქთ (უსასყიდლო) შედეგს, რომელიც ინდივიდთა საკუთარი ძალისხმევით მიღებულ ინტელექტუალურ უნართან შეერთებით, მათი შემოქმედებითი ენერგიის, კრეატიული (გამომგონებლური) პოტენციალის ამოსავალი ფაქტორია. უდიდეს ძალად გვევლინება **ინტელექტუალური ელიტის** – გამორჩეული ბუნებრივი ნიჭიერების ადამიანთა – გენიალურ შემოქმედთა, ტალანტების, საერთოდ ნიჭიერთა მასის როლი. მუქთი (უსაყიდლო) ფაქტორის წყალობით ისტორიული პროცესი იღებს ტემპს, უერთდება რა მის მიერ შექმნილი ტექნოლოგიური თუ სხვა სიახლეების უზარმაზარ ენერგიას.

განუსაზღვრელი მნიშვნელობისაა **ბუნების ძალთა მუქთი (ფასგადაუხდელი)** ხასიათი. ისინი ადამიანის მიერ არაა შექმნილი, მაგრამ მათი ადამიანის საქმიანობაში ჩართვის მასშტაბები და ხარისხი განაპირობებს წარმოებული დოვლათის რაოდენობასა და თვისებრივ მახასიათებლებს, წმინდა პროდუქტის წარმოებას, მის მასშტაბებს ანუ Q - Z სიდიდეს. ბუნებრივი ფაქტორი საყოველთაოა, ამასთან ეკონომიკურ პროცესში სხვადასხვა ზომით მოქმედებს.

იგივე შეიძლება ვთქვათ "**ისტორიის მუშაობაზე**" _ მოქმედ თაობათა მიერ წარსულისგან, წინამორბედ თაობათაგან მირებული და წარმოების პროცესში გამოყენებული სოციალური ენერგიის **მთლიანად ან ნაწილ–ობრივ უსასყიდლო** ართროპოგენურ მუქთ წყაროებზე: ინტელექტუალური საქმიანობის პრო-დუქტებზე _ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, გამოგონებებზე, აღმოჩენებზე. მათზეა დამოკიდებული ადამიანთა მიერ ბუნებისა და საკუთარი ძალების გამოყენება, მაშასადამე, დოვლათის, მისი წმინდა ნაწილის წარმოების მასშტაბები.

უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ ბუნებასა და ისტორიასთან ადამიანებს აქვთ არა **კომერციული (ანგარიშიანი),** არამედ **უანგარო, სამაგიეროს გადახდის გარეშე დამოკიდებულება**. ადამიანებს შორის კომერციული ურთიერთობა ამ ფაქტორის გამოყენების საფუძველზე მხოლოდ შემდგომ წარმოიშობა დოვლათის

შექმნასთან, მის გაცვლასა და განაწილებასთან დაკავშირებით, საბაზრო გარემოში.

2. სოციალური ენერგიის ერთ-ერთი თვისება დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი ზოგჯერ **თითქოს "არაფრისაგან",** ადამიანური და სხვა რესურსების დანახარჯების გარეშეც წარმოიქმნება. ეს თვისება გამომდინარეობს მისი ზოგიერთი წყაროს ხასიათიდან, რომლებიც გამოყენების (მოხმარების) **დროს არ იხარჯება, არ ცვდება, ხმარების გამო მწყობრიდან არ გამოდის, არ იკლებს** (მხოლოდ, შეიძლება "მორალურად გაცვდეს", უვარგისი გახდეს უკეთესის არენაზე გამოჩენის შედეგად). **ესაა სოციალური ენერგიის არამატერიალური, რაოდენობრივად "უწონადი" წყაროები, როგორიცაა: ცოდნა, იდეა, მეცნიერული აღმოჩენა, გამოგონება, ნოუ-ჰაუ, ყოველგვარი ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლე, სამართლებრივი კანონები, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ა.შ.** აღნიშნული რესურსები, პირიქით, მეტ ძალას, სიდიდეს იძენს, მძლავრდება გამოყენების არეალის (მასშტაბის) გაფართოებით. მათ ახასიათებთ გავრცელება (ტირაჟირება) _ სივრცეში გაფართოება, გამეორებადობა და მოქმედების დიდი ხანგრძლივობა. ამის შედეგადაც მათი ენერგეტიკული პოტენციალი შესაბამისად იზრდება. მათ გამოყენებას მზარდი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს. ასეთივე უდანახარჯოა (პირდაპირ დანახარჯებს, როგორც წესი, არ მოითხოვს) სპონტანური წარმოშობის რესურსები, რომლებიც ზემოთ ცალკე კლასად აღინიშნა: **ბუნებისა და მეცნიერების კანონები, განვითარების კანონზომიერებები, საზოგადოებრივი, მ.შ. ეკონომიკური ურთიერთობები, შრომის დანაწილება, გამართლება და სხვა.**

3. სოციალური ენერგიის შემდეგი მნიშვნელოვანი თვისებაა მის **წყაროთა სპონტანური დაგროვება (თეზავრაცია),** რაც ამ ენერგიის ზრდის ერთ-ერთი საფუძველია. ეს განსაკუთრებით ეხება არამატერიალურ წყაროებს – უწინარესად შემოქმედებითი შრომის, საერთოდ ინტელექტუალური უნარის შედეგებს. ადგილი აქვს **ონტოგენეზისა და ფილოგენეზის** პროცესს. სოციალური ენერგიის ანთროპოგენური წყაროები ამის შედეგად იზრდება. მართალია, შეიმჩნევა დისიპაციაც (გაფანტვა, ვთქვათ, მორალური ცვეთა და სხვა), მაგრამ მთლიანობაში არსებული მარაგები ზრდას განიცდის, რადგან ახალი მეტი ემა-ტება, ვიდრე მწყობრიდან გამოდის, ძველის საკმაოდ დიდი ნაწილი შენარჩუნდება, გენეტიკურად გადასცემს მომდევნო ობიექტებს თავის მდგრად თვისებებს (ელემენტებს), ანუ უკვალოდ არ ქრება (ახალი წარმოიქმნება ძველის ბაზაზე, ატარებს განვითარების **მთელი გავლილი საფეხურების** ნიშნებს), თაობიდან თაობას გადაეცემა. ამით სოციალური ენერგია თოვლის ზვავივით იზრდება.

აქვე უნდა აღინიშნოს **ძირითადი კაპიტალის მულტიფლიცირებადობა**. ჯერ ერთი, იგი ჩვეულებრივ გენეტიკურად სწორედ მუქთი ფაქტორებიდან (მათ საფუძველზე არსებული წმინდა პროდუქტის დანაზოგებიდან) წარმოდგება და ადიდებს რა შემოსავალს, ისევ და ისევ განუწყვეტლივ განიცდის თვითზრდას ერთგვარი ექსპონენციური წესით.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ განვითარების მომდევნო პროცესი იწყება **მიღწეული დონიდან,** რომელსაც ემყარება მომდევნო საფეხური, საჭირო არაა ყველაფრის მუდმივად თავიდან დაწყება. მაშასადამე, მოქმედებს **მიღწეული დონის შენახვის** კანონი. **დაგროვილი (შენახული) დონე მნიშვნელოვანწილად მუქთი ხასიათისაა.**

4. არსებობს სოციალური ენერგიის ისეთი თვისება, რომელიც, ერთი შეხედვით, **ეწინააღმდეგება ბუნების (ფიზიკის), კერძოდ, ენერგიის, მატერიის და ა. შ. მუდმივობის კანონებს. ეს თვისებაა სოციალური ენერგიის ზრდისა და შემცირების შესაძლებლობა**. ეს მას ახასიათებს ერთიდან მეორე ფორმაში გადასვლასთან ერთად, რითაც განსხვავდება ფიზიკური ენერგიისაგან. ეს უკავშირდება სოციალური ენერგიის წყაროთა არამატერიალურ-არარაოდენობით, თვისებრივ მახასიათებლებს. იგი გამომდინარეობს სწორედ მისი წყაროების ერთი ნაწილის იმ თვისებებიდან, რომ ისინი არ იხარჯება, არ ქრება, არ ცვდება, მათი ძალა მატულობს გავრცელების, გამოყენების გაფართოების კვალობაზე. ესეც განსაკუთრებული თვისებაა, რაც ეკონომიკური საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვნად განაპირობებს წმინდა პროდუქტის წყაროს – მუქთი სოციალური ენერგიის წარმოქმნას, შედეგის დანახარჯებზე გადამეტებას, ე.ი. სოციალური ენერგიის უფრო მეტად ზრდას, ვიდრე იზრდება გაწეული დანახარჯები.

ასევე საქმიანობის **მუქთი შედეგის** _ წმინდა პროდუქტის წარმოქმნის თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობა აქვს თვით დოვლათის შექმნის ტექნოლოგიურ პროცესს. იგი ბუნებიდან იღებს სათავეს. **ბუნებრივი "ტექნოლოგიები"** (პროცესები), რომელთა შედეგად ბუნებაში ახალი ობიექტები წარმოიქმნება, ახალი ობიექტის თვისებრივი უპირატესობის მეშვეობით, როგორც წესი, გვევლინება დანახარჯზე შედეგის გადამეტების ერთ-ერთ პირობად, თუ მას ადამიანური სარგებლობის საზომებით შევხედავთ. ამას თავისი კოლოსალური მასშტაბის გამო – ბუნება უკიდეგანოა _ განვიხილავთ, როგორც "**დიდ სინთეზს".** ბუნების ორი ან მეტი ნივთიერების შეერთებით წარმოიშობა ადამიანური თვალთახედვით **სასარგებლო პროდუქტები**, მაგალითად, ნავთობი, ქვანახშირი, ოქრო, ალმასი და ა.შ. მთელი მცენარეული და ცხოველური სამყარო ამის დადასტურებაა, კერძოდ, მკვდარი ნივთიერებებიდან **უფრო მაღალი** _ ცოცხალი ორგანიზმები (მცენარეები, ცხოველები) წარმოიქმნა, ადამიანისა და მისი ტვინის ჩათვლით. ზოგჯერ **რთული ნივთიერებების დაშლითაც** მიიღება ახალი საგნები, რომელთაც ადამიანებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათ წარმოქმნაში მონაწილე კომპონენტებს.

ადვილი გასაგებია ანთროპოგენურ სამყაროში **ხელოვნური ტექნოლოგიებით (მას "მცირე სინთეზს"** ვუწოდებთ ,,ბუნებრივ ტექნოლოგიებთან" შედარებით ნაკლები მასშტაბის გამო) შექმნილი პროდუქტების მეტობა ადამიანისთვის სასარგებლო თვისებების მიხედვით გამოყენებულ რესურსებთან შედარებით. სოციოგენური ტექნოლოგიები განსაკუთრებული შემთხვევებია. ადამიანის მიზანმიმართული მოქმედებით, ბუნების ძალთა და საგნების გამოყენებით, ახალ

იდეებთან, ცოდნასთან, გამომგონებლური უნარის პროდუქტთან სინთეზით იქმნება ისეთი ობიექტები, რომლებიც ბუნებაში არ გვხვდება და თვისებებით (ადამიანთა მოთხოვნილებების თვალთახედვით) ბუნებრივს აჭარბებს. ეს უფრო **მაღალი** დოვლათია. იგი უკეთ შეესაბამება და აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებებს. ამაზეა აგებული წარმოების მთელი პროცესი დასაბამიდან დღემდე.

ეს მოვლენები, რასაც შესაბამისად ბუნებასა და საზოგადოების ცხოვრებაში ვხვდებით, **ე.ი. დიდი და მცირე სითეზი**, ეხება არა მარტო მატერიალური ნივთების წარმოებას, არამედ ყოველივე იმას, რაც ადამიანებისათვის სიკეთეს წარმოადგენს, მაშასადამე, შემოქმედებითი საქმიანობის _ ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების ქმნილებებს და ა.შ. ამ მომენტებში რაოდენობრივთვისებრივი თვალთახედვით თავს იჩენს Q > Z ფორმულით გამოხატული ანუ წმინდა (მუქთი) პროდუქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი ფაქტი.

საგულისხმოა **ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებათა, სინერგიის, სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, კომბინირების, გამართლების ფენომენის და ა.შ., როგორც ფაქტობრივად სოციალური ენერგიის მუქთი წყაროს, თვისება**. ეს მოვლენები აძლიერებს რა წარმოების რეალური რესურსების ძალას, როგორც წესი, საამისოდ უშუალო დანახარჯების გარეშე ანუ უსასყიდლოდ, ადიდებს სოციალურ ენერგიას, რომელიც ხდება დანახარჯებზე შედეგების გადამეტების ანუ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი საფუძველი. ისტორიულად ამ თვისების მნიშვნელობა ყოველთვის ხელშესახები იყო, ხოლო დღეისათვის მას თვალსაჩინო ადგილი უკავია შედეგის დანახარჯებზე გადამეტებაში (წმინდა პროდუქტის წარმოქმნაში) როგორც მიკროეკონომიკური მასშტაბით, ასევე მთლიანად ეკონომიკაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის შესაბამისად, თავისებურად აისახება ეკონომიკურ პარამეტრებში, **ამოქმედდება წესი: "დიდი მცირეში", ასევე დგინდება თანაფარდობა: "მთელი მეტია შესაკრებთა ჯამზე"**. მათ განსაკუთრებულ გამოვლენას ადგილი აქვს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში.

სოციალური ენერგიის წყაროთა ამ თვისებებიდან **გამოგვყავს წმინდა პროდუქტის ანუ გაწეულ დანახარჯებზე გადამეტებით მიღებული პროდუქტის ცნების და მისი წარმოქმნის ზემოთ გადმოცემული ახალი გაგება, რომელსაც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს მივაკუთვნებთ ეკონომიკურ თეორიაში, ეკონომიკური და რიგი სოციალური მოვლენის,საერთოდსაზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის ახსნაში,** რაც აქამდე მას არ ჰქონია.

სოციალური ენერგიისა და საბოლოოდ დოვლათის მუქთი წყაროების არსებობა და დოვლათის წარმოების პროცესში მონაწილეობა, რის საფუძველზე შედეგი (შექმნილი დოვლათი) სჭარბობს დანახარჯებს, არის განსაკუთრებული და გადამწყვეტი ფაქტი ცალკეულ ადამიანთა, მათი ჯგუფებისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში, პროგრესში. ამის გარეშე სოციუმი უფერულ და

მკვდარ, ერთ ადგილზე გაყინულ რეალობად იქცეოდა. კაცობრიობის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მარაგებმა კი ამ გზით კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია (თუმცა ისინი მაინც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს დედამიწაზე საყოველთაო კეთილდღეობის მოთხოვნებს).

შევნიშნავთ, რომ ჩვენი მსჯელობა ეხება **რეალურ წმინდა პროდუქტს**, თუმცა არსებობს მისი ირეალური ფორმაც, რასაც ქვემოთ განვიხილავთ მოგებასთან კავშირში.

განხილული წმინდა პროდუქტის გარდაქმნა მოგებად კონკრეტულ პირობებში, მითვისება ცალკეული სუბიექტების მიერ სპეციფიკური მექანიზმისა და წესების მოქმედების შედეგად შემდგომი მსჯელობის საგანია.

3. წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნა. მეორე ეკონომიკა

წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნა საკვანძო პუნქტია მოგების თეორიაში. ესაა სპეციფიკური "სოციალური ტექნოლოგია". იგი ემყარება განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასა და შემოსავლების განაწილების ეკონომიკურ მექანიზმს, რომელიც ყალიბდება საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა პირობებში. ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნა ნიშნავს ამ პროდუქტის გადასვლას კონკრეტულ სუბიექტთა ხელში, მათ შემოსავლებად, სიმდიდრის ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლების წყაროდ გადაქცევას. ამასთან, გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მოგების, როგორც ეკონომიკური მოვლენისა და კატეგორიის ფუძემდებლური ასპექტები, მისი სოციალური ბუნება, კონკრეტული სუბიექტების მიერ მისი მითვისების ხასიათი, სამართლიანობა. არსებითად დგას საკითხი არა მარტო იმის შესახებ, თუ საიდან წარმოიშობა მთლიან შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის სხვაობა, არამედ იმაზე, თუ ვის მიერ, როგორ, რამდენად სამართლიან (ობიექტურ) საფუძველზე და წესით მიითვისება იგი. ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია მოგების არსში. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია უფრო ვრცლად ჩამოვაყალიბოთ მოგების განსაზღვრება. **მოგება არის კონკრეტული სუბიექტების შემოსავალი, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობათა გარკვეული ფორმის პირობებში მიღებულია იმ საქმიანობით, რამაც მოიტანა დანახარჯზე მეტი შედეგი – წმინდა პროდუქტი და ობიექტური თვალსაზრისით არსებული ეკონომიკური მექანიზმის მეშვეობით მითვისებულია სამართლიანად ან არასამართლიანად (როგორც კუთვნილი ან**

კუთვნილზე მეტი). რეალური მოგება უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკურ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით დანახარჯებზე ზედმეტად შექმნილი დოვლათის – წმინდა პროდუქტის _ გარდაქმნილი ფორმა, ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტთა მიერ განაწილების მოქმედი წესის პირობებში, ობიექტური კუთვნილების თვალსაზრისით, დოვლათის (შემოსავალის) სამართლიანად ან არასამართლიანად მიღებული და მითვისებული ნაწილი. იგი ასევე მთელი საზოგადოებისათვის გვევლინება დამატებით დოვლათად, სიმდიდრის მატებად.[12]

როგორც ზემოთ, ამ ნაშრომის პირველ ნაწილში ვნახეთ, ვერც ერთმა დღემდე არსებულმა თეორიამ ვერ ახსნა სწორად მოგების წარმოქმნა. ამ საკითხზე ჭეშმარიტი კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის უნდა მივყვეთ იმ ლოგიკას, რომელიც ითვალისწინებს წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნას, რაც, ჩვენი აზრით, მიგვიყვანს სწორ დასკვნამდე.

ამისათვის საკითხის განხილვა უნდა დავიწყოთ იმ "სოციალური ტექნოლოგიით", რომელიც პროდუქტის ერთ ფორმას – წმინდა პროდუქტს მეორე ფორმად – მოგებად აქცევს. **ეს "ტექნოლოგია" ძირითადად ემყარება დოვლათის განაწილების საბაზრო წესებს, მექანიზმს, რომელთაც საფუძვლად უდევს ბაზრის კანონები. დამხმარე როლს ასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა არაეკონომიკური ფორმები (პოლიტიკური, სამართლებრივი, უხეში ძალადობრივი ქმედებები, აგრეთვე ადამიანთა ქცევის გარკვეული ზნეობრივი წესები და სხვა).**

პირველ რიგში შევეხოთ ძირითადს – **ეკონომიკურ ურთიერთობებს**. მოგება საერთოდ, როგორც აღინიშნა, არსებობს ფულად-სასაქონლო, საბაზრო ურთიერთობათა შესაბამისი მექანიზმისა და ბერკეტების მოქმედების საფუძველზე. წმინდა პროდუქტის მოგებად ჩამოყალიბება განაწილებით ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი განხილვა უნდა დავიწყოთ **განაწილებით ურთიერთობათა პირობებით (საფუძვლებით)**.

საერთოდ მათ მიეკუთვნება: ჯერ ერთი, **ეკონომიკური ძალაუფლება,** რომელიც უწინარესად წარმოიშობა წარმოების ფაქტორებზე (კაპიტალზე, მიწაზე, მეწარმეობრივ უნარზე, შრომის უნარზე), **საკუთრების უფლების, შემდეგ ორგანიზაციული როლის (მართვა, რეგულირება) და ბაზარზე დაკავებული მდგომარეობის (მონოპოლიური უპირატესობა)** შედეგად.

ამ პირობათა მიხედვით, მოგების უმთავრესი და **უპირველესი მიმღებნი არიან კაპიტალის მესაკუთრენი** (ამჟამად ძირითადად აქციონერები) და **მეწარმეები ეკონომიკური ძალაუფლების – საკუთრებისა და ორგანიზატორული როლის** საფუძველზე, ასევე **მონოპოლისტები ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობის** მეშვეობით. ამ პირობათა შედეგად სუბიექტები მოგების სახით იღებენ შემოსავლს, რაც განაწილების არსებული სისტემის ფარგლებში ერგოთ.

---

[12] მხედველობაში გვაქვს რეალური მოგება, რომლის უკან არის ფაქტობრივად შექმნილი დოვლათი (სიმდიდრე), განსხვავებით მოგებისაგან, რომელიც მიიღება არამწარმოებლური, მომხვეჭელური საქმიანობით, მაქინაციებით სხვის ხარჯზე, გადანაწილების გზით.

კაპიტალის შემოსავალი (პროცენტი) შეიძლება იყოს საკუთარი საქმიანობით ან მემკვიდრეობით თუ სხვადასხვა წყაროდან მიღებული წარმოების ამ ფაქტორის ფლობის შედეგი, მ. შ. არაკანონიერიდანაც. ეს შემოსავალი – კაპიტალის პროცენტი იგივე მოგების ფორმაა, რაც აღიარებულია თეორიაში. მისი წყარო იგივე წმინდა პროდუქტია, რომლის წარმოქმნა უკავშირდება კაპიტალის შეერთებას მუქთ ფაქტორებთან. კაპიტალი ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მასში მატერიალიზდება ბუნებრივი და ანტროპოგენური მუქთი (უსასყიდლო) ძალების მოქმედების დიდი ნაწილი. კაპიტალის პროცენტი მხოლოდ იმ ნაწილში შეიძლება განვიხილოთ **კუთვნილ შემოსავლად**, **სამართლიანობის ზოგადი პრინციპის ფარგლებში,** რომელიც მიღებულია საკუთარი ან მემკვიდრეობითი შრომითი შემოსავლის დანაზოგიდან. **დანარჩენი კი, აღნიშნული აზრით, უნდა ჩაითვალოს არსებული ეკონომიკური მექანიზმის მეშვეობით კუთვნილზე მეტად მიღებულ შემოსავლად.**

მეწარმეობრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს თეორიაში, როგორც ცნობილია, უწოდებენ **მეწარმის შემოსავალს**[13], **რომელიც შედგება ე.წ.** ნორმალური ანუ მოცემულ დარგში მეწარმის შემდგომი საქმიანობისათვის აუცილებელი მოგებისაგან, ასევე ეკონომიკური ანუ წმინდა მოგებისაგან, რაც საქმიანობის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შედეგია. **უფრო მართებულია მეწარმის შემოსავალი დავყოთ ორ ნაწილად: ერთია მეწარმის, როგორც მშრომელის, წილი განსაკუთრებული შრომითი წვლილისათვის დოვლათის შექმნაში, შრომის ანაზღაურება და წილი წმინდა პროდუქტის შექმნაში წვლილისათვის, მეორე _ საბაზრო ურთიერთობათა (მექანიზმის) მეშ-ვეობით მუქთი ფაქტორების მოქმედებით მიღებული შემოსავლის (წმინდა პროდუქტის) დამატებითი ნაწილი.** მეწარმის, ორგანიზატორის, მმართველის ფუნქციის ფლობა არის **ეკონომიკური ძალაუფლების განსაკუთრებული წყარო,** რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს **მიითვისოს საყოველთაო მუქთი (უსასყიდლო) ფაქტორების გამოყენებით შექმნილი წმინდა პროდუქტის დიდი, საკუთარ შრომითი წვლილით კუთვნილი და კუთვნილზე მეტი ნაწილი.**[14]

ორივე აღნიშნული სუბიექტის – კაპიტალის მესაკუთრეთა და მეწარმეთა შემოსავლები, შრომითი წვლილის გამოკლებით, წმინდა პროდუქტის გარდაქმნილი ფორმის ის ნაწილია, რომელიც შესაბამისმა სუბიექტებმა მიიღეს

---

[13] Aა. მარშალი აღნიშნავს: მოგების ნაშთი, რაც რჩება მისგან მიმდინარე კურსით კაპიტალზე პროცენტის, ასევე დაზღვევაზე გასავლების გამოქვითვის შემდეგ, ჩვეულებრივ მეწარმეობით ანუ მმართველობით შემოსავლად იწოდება. A. Marshall. Principles of Economics. Vol I. მოსკოვი. 1983 P.135 (რუსული გამოცემიდან).

[14] ეკონომიკური თეორიის მიხედვით, p = mc, ასევე p = ac= mc (p – ფასი, mc – ზღვრული დანახარჯები, ac – საშუალო დანახარჯები), რაც უაზრობაა, როცა ეს ნიშნავს იმდენის მიღებას, რამდენიც დავხარჯეთ. ეს ფუჭი მუშაობა იქნებოდა, ასევე ყოველგვარ განვითარებას გამორიცხავდა. თუ c-ში ვგულისხმობთ წმინდა პროდუქტის ნაწილს ანუ მეწარმის შემოსავალს ე.წ. ნორმალური მოგების სახით – გარდამეტს მისი საქმიანობის ანაზღაურებაზე, ეს წინააღმდეგობაა. c-ში არ შეიძლება იყოს დანახარჯიც და წმინდა შემოსავალიც. ეს აღრევაა. მოგება ყველა შემთხვევაში მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ხარჯებისაგან.

დანახარჯებზე მეტად მუქთი ბუნებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორების გამოყენების შედეგად. ის საბაზრო მექანიზმმა, ურთიერთობებმა, შემოსავლების განაწლების არსებულმა პირობებმა დამკვიდრებული წესისა და კანონის ფარგლებში ამ სუბიექტებს გადასცა. აქვე უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ **კაპიტალი გენეტიკურად (წარმომავლობით) მუქთი, დანახარჯებზე მეტად მიღებული შემოსავლების პროდუქტია** (საიდანაც ჩვეულებრივ დანაზოგები წარმოდგება).

მიწის მესაკუთრეთა შემოსავალი საერთო ნიშნებით ემსგავსება კაპიტალის მესაკუთრეთა შემოსავალს, ოღონდ აქ ბუნებრივ ფაქტორებს (მიწის ნაყოფიერებას, კლიმატურ პირობებს, მათ ცვლილებებს, საქმიანობის ადგილმდებარეობას და სხვა) მეტი როლი ეკუთვნის. ისიც წარმოშობით უნდა მივაკუთვნოთ მოგებას – წმინდა პროდუქტის გარდაქმნილ ფორმას. თვით მესაკუთრე მას იღებს შრომითი საქნიანობის გარეშე ბუნების და კაპიტალთან დაკავშირებულ მუქთ ფაქტორთა მოქმედებით წარმოქმნილი წმინდა პროდუქტის ნაწილიდან, რასაც ითვისებს მიწაზე საკუთრების საფუძველზე. ეს ეხება სხვა ბუნებრივი რესურსებით შექმნილ დოვლათსაც და წმინდა პროდუქტსაც, აქედან გამომდინარე, შესაბამისი სუბიექტების მოგებას. აღნიშნულ გარემოებებთან არსებითად ბევრი საერთო აქვს სხვადასხვა ქონების იჯარით (ლიზინგით) მიღებულ წმინდა შემოსავალს, მოგებას.

წმინდა პროდუქტის მოგებად გარდაქმნის, მოგების მიღების შემდეგი ძირითადი პირობაა **თავისუფალი (თვითდასაქმებული) და დაქირავებული მუშაკების ბუნებრივი უფლება საკუთარი შრომის პროდუქტზე.** უწინარესად თვითდასაქმებული მუშაკების (გლეხის, ხელოსნის, რაიმე საქმის სპეციალისტების – ექიმების, პედაგოგების, ვექილების და ა.შ.) შრომას, განსაკუთრებით, როცა ისინი იყენებენ მათ მიერ დაუფლებულ თანამედროვე ცოდნას, გამოცდილებას, ტექნოლოგიას, ორგანიზაციის მეთოდებს და სხვა, **შეუძლია შექმნას წმინდა (დანახარჯზე მეტი) პროდუქტი და ერთობ მნიშვნელოვანი რაოდენობითაც**. მისი რეალიზაციის შემდეგ მას ისინი ითვისებენ, რაც წარმოგვიდგება მათ წმინდა შემოსავლად, მოგებად (ამას თავადაც ასეთად მიიჩნევენ). მაგალითად, გლეხი, რომელიც უხვ, დანახარჯებზე მეტ მოსავალს მიიღებს მუქთი ფაქტორების – ბუნების ხელსაყრელი პირობების, ტექნიკის, მეცნიერული სიახლეებისა და ა.შ. დახმარებით, თავისი შემოსავლის ამ ნაწილს სავსებით მართებულად თვლის მოგებად – დანახარჯებზე მეტად მიღებულ შემოსავლად. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ სხვა თვითდასაქმებულთა წმინდა შემოსავალზე (მოგებაზე).

განსაკუთრებულია სხვა **შრომითი, კერძოდ დაქირავებულ მუშაკთა, მოგება**, თუ მათ შემოსავლებს განვიხილავთ ფართო გაგებით ანუ საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში, სამუშაო ძალის კვლავ–წარმოებასა და სხვა აუცილებელ საჭიროებებზე დანახარჯებთან მიმართებით.[15] რაც უნდა პარადოქსად

[15] რა თქმა უნდა, შრომის ანაზღაურება პრაქტიკაში შეიძლება იყოს მეტად მცირე და სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბალიც, როცა არავითარი მოგება არ არსებობს. ასეთ სიტუაციაზე დ. რიკარდო შენიშნავს:

მოგვეჩვენოს **დაქირავებული მუშაკებიც, ნორმალურ პირობებში მოგების მიმღებებად გვევლინებიან**. ისინი მუქთი სოციალურიენერგიის საზოგადოებრივი გამოყენების შედეგად შექმნილი წმინდა პროდუქტიდან კანონიერად იღებენ მათ მიერ გაწეულ დანახარჯებზე მეტს, რაც მათი კეთილდღეობის ამაღლების წყაროა.[16] აქ, ცხადია, არ იგულისხმება მოგების განაწილებაში მუშაკთა ჩართვა, არც აქციებიდან მიღებული დივიდენდები, არამედ **ხელფასის ნაწილი, როგორც წმინდა პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა. ჩვეულებრივ, დაქირავებულთა მიერ მათ დანახარჯებზე მეტად მიღებული შემოსავლები უნდა ჩაითვალოს განაწილების არსებული წესით (საბაზრო მექანიზმის მეშვეობით) მიღებულ მათ წილად წმინდა პროდუქტში მის შექმნაში მონაწილეობისათვის ანუ მშრომელთა მოგებად** (ეს აზრი ბევრს უთუოდ ეუცხოება, მაგრამ რა ვქნათ, თუ იგი, ჩვენი თვალსაზრისით, სავსებით შეესაბამება სინამდვილეს).

მეტად მაღალ ანაზღაურებას, მათი შრომის სპეციფიკიდან და შემოსავლების განაწილების სისტემაში მათი უფლებებიდან გამომდინარე, როგორც წესი, იღებს ისეთი მუშაკების ნაწილი, როგორიცაა **მენეჯერები _ საქმიანობის ორგანიზატორები.** ეს ანაზღაურებაც დიდი რაოდენობით შეიცავს მოგებას, შემოსავლების შექმნაში მათ წვლილზე მეტსაც.

სპეციფიკურ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ **შრომის საფასურის, ხელფასის ნორმალური დონიდან გადახრა, როგორც მოგების (ზოგჯერ უზარმაზარი რაოდენობით) მიღების გზა.** მას ადგილი აქვს, პირველ რიგში, ცალკეულ ადამიანთა შრომაზე და მის პროდუქტზე აჟიოტაჟური, ხშირად მახინჯი მოთხოვნის არსებობის გამო. ეს ხშირად დაკავშირებულია მასობრივი მომხმარებლის გემოვნებასთან, რომელსაც ცალკეულ შემთხვევაში მომსახურების ამა თუ იმ ფორმისადმი (მაგალითად, გართობისადმი) განსაკუთრებული მიდრეკილება უყალიბდება. იმასაც ნათლად ვხედავთ, რომ ქუჩურ მუსიკას, უგემოვნო შოუ-კონცერტებს უამრავი მსმენელი ჰყავს. კოლოსალური რაოდენობის მაყურებელი ჰყავს სპორტის ცალკეულ სახეობებსაც. ამით შრომის უზარმაზარ ანაზღაურებას იღებენ ცალკეული ადამიანები. ზოგიერთი კინომსახიობის, შოუბიზნესის წარმომადგენლის, მომღერლის, სპორტსმენის და სხვათა ზღაპრული შემოსავლები, ცალკეულ შემთხვევაში, წლიურად ათობით მილიონ დოლარს შეადგენს, ზოგჯერ ას მილიონსაც უახლოვდება ან აჭარბებს. ეს კი ათი ათასობით საშუალო მუშაკის შრომის ანაზღაურებას უდრის, რაც სულაც არ შეესაბამება ამგვარი შემოსავლების მიმღებთა მიერ შექმნილ საზოგადოებრივ ფასეულობასა და მათზე გაწეულ დანახარჯებს. ამიტომ მათი შემოსავლების უდიდესი ნაწილი შეიძლება განვიხილოთ **მოგებად,** რაც მიღებულია უმთავრესად, **სხვის (მომხმარებელთა) ხარჯზე საზოგადოებაში შექმნილი**

როცა შრომის საბაზრო ფასი ნაკლებია მის ბუნებრივ ფასზე, მუშათა მდგომარეობა უკიდურესად სავალალო ხდება: სიღარიბე მათ ტოვებს კომფორტის ამა თუ იმ საგნების გარეშე, რომლებიც ჩვეულებისამებრ აბსოლუტურად აუცილებელია მათთვის. დ. რიკარდოს დასახელებული ნაშრომი. რუსული გამოცემა. გვ. 98.

[16] ჯ. კლარკს მიაჩნდა, რომ ხელფასი შეიცავს ელემენტს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კვაზიმოგება. ჯ. კლარკის დახელებული ნაშრომის რუსული გამოცემა. გვ. 360.

პროდუქტის (შემოსავლის) გადანაწილებით საბაზრო მექანიზმის მეშვეობით, სპეციფიკურ გარემოში. აბა, გამოვრიცხოთ ის პირობები, რომლებიც წარმოშობს განსაკუთრებულ მოთხოვნას ზემოთ აღნიშნულ მომსახურებაზე, ასევე ტექნიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც შექმნილია საზოგადოების განვითარების პროცესში და გამოიყენება ამგვარი მომსახურებისთვის, ამასთან სულაც არაა შესაბამისი შემოსავლების მიმღებ სუბიექტთა დამსახურებასთან დაკავშირებული, მაშინ მივხვდებით, რომ მათი შემოსავლები მინიმუმამდე შემცირდებოდა.

რამდენადმე განსხვავდება **ზოგიერთი სპეციალობის ადამიანთა შემოსავლებისა და მოგების წარმოქმნა.** ეს ისეთი პროფესიების წარმომადგენლებია, რომელთა შრომაზე აჟიოტაჟური მოთხოვნა კი არაა მათი მომსახურების გადაჭარბებული ფასის მიზეზი, რასაც ზედმეტი მოგება მოაქვს, არამედ შრომისა და მისი პროდუქტის გარკვეული განსაკუთრებულობა, მნიშვნელობა ადამიანებისათვის, მისდამი მომხმარებელთა დამოკიდებულება. ასეთს მივაკუთვნებთ ექიმების, ადვოკატების და მისთანების შრომას. მათი ხელფასები ხშირად ასობით და მეტად აღემატება შრომის საშუალო ანაზღაურებას შესაბამის ქვეყნებსა და სფეროებში. მათ ანაზღაურებაზე საბაზრო წესები კი არ მოქმედებს, არამედ მათი საქმიანობის შედეგის გავლენა ადამიანთა ბედზე, რის გამო შესაბამისი ინდივიდები იძულებული ხდებიან და მზად არიან გაიღონ მოთხოვნილი, მეტად მაღალი საფასური, განსაკუთრებით, როცა ასეთი ანაზღაურება არაა სახელმწიფოს მიერ დარეგულირებული. ისინი **დიდ მოგებას** მოიხელთებენ კიდეც. ამგვარი **არაორდინალური (ნორმალურისაგან გადახრილი) ფაქტორების შედეგად** მიღებული თითქოს ერთგვარი შრომითი შემოსავლები წარმოადგენს ამ სუბიექტთა მიერ **სხვის ხარჯზე,** მაგალითად, ექიმების, ადვოკატების და სხვათა მიერ პაციენტის, კლიენტის ხარჯზე ზედმეტად მიღებულ შემოსავლებს (სხვა სფეროში შექმნილი პროდუქტის ნაწილს), რაც მათ ხელში ზედმეტად გადავიდა სპეციფიკური სიტუაციის (ურთიერთობის) მეშვეობით.

ნორმალურისაგან გადახრილი არარაციონალური მოთხოვნილება და საბაზრო მოთხოვნა ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებაზე არაიშვიათად იწვევს მათი უზარმაზარი რაოდენობის გასაღებას, მიუხედავად იმისა, თუ რა რეალური სიკეთე მოაქვს მათ ადამიანებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს მოდური, ფართოდ რეკლამირებული საქონელი ან მომსახურების რაღაც სახეობები. მათზე ჩვეულებრივ მაღალი ფასები ყალიბდება. **მოგების მთავარი პირობა ხდება მოთხოვნილებისა და მოთხოვნის მასშტაბები და არა ის, თუ რამდენად ფასეული და სასარგებლოა ფაქტობრივად თვით საქონელი და მომსახურება.** ასეთი საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები, როგორც კერპთა–ყვანისმცემლები, არაფერს ზოგავენ, ნებისმიერ თანხას იხდიან სურვილის დასაკმაყოფილებლად, მშიერიც რომ დარჩნენ. ბანალური ან უცნაური სიუჟეტის მდარე ლიტერატურულ ნაწარმოებებს, პორნოგრაფიულ "შედევრებს", მოდური საესტრადო მუსიკის ელექტრონულ ჩანაწერებს, მძაფრსიუჟეტიან კინოსერიალებს უთვალავი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე კლასიკურ, უკვდავ

ქმნილებებს. ჯაზურ მუსიკაზე მეტი მოთხოვნილება და მოთხოვნაა, ვიდრე მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებებზე, "ჰარი პოტერზეც", ვიდრე გოეთესა და ბაირონის თხზულებებზე. შესაბამისად, მაღალი მოთხოვნილებისა და მოთხოვნის საქონლისა თუ მომსახურების გამსაღებლებს კოლოსალური მოგება ხვდებათ წილად, **რაც შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების ფასეულობას და მათი გამსაღებლების დამსახურებას სულაც არ შეესაბამება.** ამ შემთხვევაში ხდება სხვა სფეროში შექმნილი შემოსავლის გადაქაჩვა მაღალი მოთხოვნილებისა და მოთხოვნის საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელთა ჯიბეში, ე.ი დაუმსახურებელი (არკუთვნილი) მოგების მიღება საბაზრო მექანიზმის მეშვეობით.

თითქოს შრომის მართებული ანაზღაურების ფარგლებში იღებენ უზარმაზარ ხელფასს **საბანკო სექტორის, საერთოდ საფინანსო ინსტიტუტების**, ოფისების ცალკეული მუშაკები საქმიანობისა და სხვადასხვა გარიგებისათვის, რასაც განსაკუთრებული უნარი არ სჭირდება. ის მრავალ ათეულჯერ აღემატება კომპეტენტური ტექნიკური სპეციალისტების, კიდევ უფრო მეტად მაღალკვალიფიციურ მუშათა, მხვნელ-მთესველთა, ფოლადის მდნობელთა, კონსტრუქტორთა და სხვათა, ე.ი. დოვლათის ნამდვილ შემოქმედთა შრომის ანაზღაურებას. საიდან ჩნდება ასეთი შემოსავლები, არავინ კითხულობს, თითქოს მოხერხებული გარიგება შობს დოვლათს. ფაქტობრივად კი ესეც რეალურ სექტორში შექმნილი დოვლათის გადანაწილების შედეგია.

მოგების წყარო ხდება სახელმწიფო საკუთრება და საქმიანობაც. სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე და წარმოების ორგანიზატორი, მას იღებს **კერძო მესაკუთრეთა ანალოგიურად.** როგორც წარმოების ხელშემწყობი ფაქტორი, იგი მოგების განაწილების სუბიექტად გვევლინება – **გადანაწილების წესით** ითვისებს წმინდა პროდუქტის გარკვეულ ნაწილს, რაც მის ხელში გადაედინება გადასახადების არხით გადამხდელ სუბიექტებზე გაწეული მომსახურების (საქმიანობის ხელსაყრელი პირობების შექმნა – პიროვნებისა და ქონების დაცვა, მეურნეობის წარმართვის სათანადო გარემოს შექმნა და ა.შ.) საფასურის სახით. ამასთან, მოგების მიმღები ყველა სუბიექტის მიერ **მოგების ნაწილის ბიუჯეტში გადაცემა გადასახადების არხის მეშვეობით, წარმოგვიდგება სახელმწიფოს მიერ მუქთი ფაქტორების მონაწილეობით შექმნილი დოვლათის ნაწილის, როგორც საზოგადოების კუთვნილის, მიღებად**. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ **მუქთი საყოველთაო ფაქტორების მეშვეობით შექმნილ დოვლათზე (შემოსავალზე) უფლება მთელ საზოგადოებას აქვს**, **რომლის სახელითაც სახელმწიფო მოქმედებს**.

ჩვეულებრივი დაქირავებული შრომის ანაზღაურებიდან გადასახადის გადახდა არსებითად ნიშნავს შრომითი მოგებიდან, როგორც მისი წყაროდან, **სახელმწიფოსათვის საზოგადოების კუთვნილის გადახდას**. სხვა საწარმოო ხასიათის შრომითი (გლეხის, ხელოსნის, სპეციალისტის და ა.შ.) შემოსავლიდან მოგების ნაწილის საზოგადოების განკარგულებაში გადასვლა გადასახადის მეშვეობით ასევე არის საზოგადოებისთვის კუთვნილის გადაცემა.

მოგების მიღების – წმინდა პროდუქტის მითვისების _ მნიშვნელოვანი პირობაა საბაზრო მექანიზმის ელემენტები: **ფასები, კრედიტი, სხვა საფინანსო ბერკეტები და ა.შ**. აქაც საქმე გვაქვს შექმნილი **პროდუქტის გადანაწილებასთან**.

ყველაზე მოქმედი ბერკეტი ამ მხრივ არის **ფასები**. ფასი უძლიერესი და ურთულესი ეკონომიკური ბერკეტია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი და როლი აქვს ეკონომიკაში. **ფასების მერყეობა და ნორმალური დონიდან გადახრა ხშირი მოვლენაა და შექმნილი პროდუქტის გადანაწილების საქმეში ფართოდაა გავრცელებული. მას გამყიდველებისა თუ მყიდველების მხრივ უსამართლო (დაუმსახურებელი) მოგების მიღება ან ზარალი მოჰყვება.**[17] ფასების ასეთი გადახრა კი მრავალი გარემოებითაა განპირობებული. მოთხოვნისა და მიწოდების პირობების ცვლილების მიზეზები სხვადასხვაა _ ეკონომიკური თუ არაეკონომიკური, ბუნებრივი ან სოციოგენური. **ობიექტური, სამართლიანი, საზოგადოებრივად ნორმალური მყარი მდგომარეობის შესატყვისი, საქონლის საზოგადოებრივი ღირებულების, როგორც მტკიცე საფუძვლის გამომხატველი ფასი თეორიული კონცეფციაა, რაც პრაქტიკაში იშვიათობაა.** ამასთან, სწორედ ის უნდა იყოს ანალიზის (მსჯელობის) საფუძველი, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში თვით ეკონომიკური მექანიზმის, ამ შემთხვევაში ფასების მიზეზით არკუთვნილი (დაუმსახურებული) მოგების მიღება ან ზარალი ერთობ გავრცელებული მოვლენაა.

არასწორი, არასამართლიანი ფასები მყიდველთა (მომხმარებელთა) შემოსავლებს გადასცემს მონოპოლისტებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტებს ან გამყიდველთა კუთვნილ შემოსავლებს გადაქაჩავს მყიდველების (მომხმარებლების) ჯიბეში. მაშასადამე, **ფასები შეიძლება იყოს უსამართლო განაწილების მძლავრი ბერკეტი**.

რეალობაში ასეთი მოვლენა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. გზის უბრალო გადაკეტვას მეწყრის ან მდინარის მიერ ხიდის წაღების ან ოპოზიციის მიერ პროტესტის გამო პოლიტიკური სიტუაციის გართულებას, საქონლის მოსალოდნელ დეფიციტს და ა.შ. შეუძლია "გაბეროს" ფასები და მყიდველების ხარჯზე დიდი მოგება მოუტანოს გამყიდველებს, რომელთაც ეს საქონელი გაცილებით იაფად აწარმოეს ან შემოიტანეს. **სამართლიან ფასებზე მსჯელობისას ამოსავალი უნდა იყოს საზოგადოებრივად ნორმალური პირობები, რომლისაგან გადახრას უნდა მიეცეს თავისი შეფასება**. ამგვარი არასამართლიანი მოგების მომტან დაბრკოლებებს ზოგჯერ ხელოვნურადაც ქმნიან. ამრიგად, მოთხოვნა-მოწოდების ტოლობა ბაზარზე, საბაზრო წონასწორობა არაა უცოდველი და ყოველთვის როდი შეესაბამება სწორი ფასების ჩამოყალიბების პირობებს. რიგ შემთხვევაში ის არღვევს საზოგადოებაში, ეკონომიკაში სამართლიანობის (ვის, რაც ეკუთვნის, იმისი მიღების), ე.ი. ობიექტურობის (როგორც უნდა იყოს)

[17] სამართლიანი ფასის საკითხი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ (შუა საუკუნეებში) თომა აქვინელმა დააყენა და შემდეგაც არაიშვიათად გვხვდება ეკონომიკურ თეორიაში. ამასთან, ამ ცნების არსებული გაგება განსხვავდება აქ გადმოცემულისაგან. თვით აქვინელი მასში გულისხმობდა ისეთ ფასს, რომელიც არ იწვევს მყიდველის ან გამყიდველის დაზარალებას.

შესაბამისად შემოსავლების განაწილებისა და ეფექტიანად გამოყენების საფუძვლებს.

ფასის ობიექტური, სამართლიანი დონიდან გადახრის ერთ-ერთი მიზეზი ხდება **ეკონომიკური ძალაუფლება** და მისი კერძო ინტერესებისთვის გამოყენება, მაგალითად, მონოპოლიური ძალაუფლებისა, რაც კარგადაა ცნობილი.

ფასის ნორმალური დონიდან გადახრის ფაქტორად გვევლინება **სახელმწიფოს უხეში ჩარევა ეკონომიკაში**, ფასების რეგულირებისა და კონტროლის მის მიერ განხორციელებული არასწორი ღონისძიებები.

გარკვეულად ამახინჯებს განაწილებას და მოგების ობიექტურ წარმოქმნას **სახელმწიფოს მიერ ფასების დაწესება**, როცა ფასები არაა სათანადოდ დასაბუთებული, სწორად დადგენილი. ამისი მაგალითები გეგმიანი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით მრავლად იყო. ეს ასევე არაა იშვიათი საბაზრო ეკონომიკაშიც. სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომები ფასწარმოქნის სფეროში არც ისე ძნელად დასანახია და შესამჩნევ გავლენას ახდენს წმინდა პროდუქტის განაწილებაზე ცალკეული სუბიექტების მოგების გადიდების ან შემცირების მიმათულებით.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობები, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა, სპეკულაციები წმინდა პროდუქტის უსამართლო გადანაწილების და დაუმსახურებელი მოგების მიღების საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს შეიცავს. ბაზარი უშვებს დამახინჯებებს, რომლებიც ცალკეულ პირთა დიდი უსამართლო შემოსავლების (მოგების) ან ზარალის მიზეზი ხდება. ბირჟებზე ძახილით, სპეკულაციური გარიგებებით ხშირად კოლოსალურ შემოსავალს იღებენ ცალკეული გაქნილი მოთამაშეები. ეს თითქოს ეკონომიკური თავისუფლების ფარგლებში ხდება. არავის აღელვებს, რომ ეს სუბიექტები სხვის მიერ შექმნილ დოვლათს სრულიად უსამართლოდ იჯიბავენ, არაფერი რომ არ ვთქვათ ამგვარი საქმიანობის ზნეობრივ მხარეზე (ეს ხომ უთუოდ საზოგადოების დიდ სირცხვილად უნდა ჩაგვეთვალა ჭეშმარიტი გაგების პირობებში). გაუგებარია ეკონომიკურ თეორიაში მისი წარმოდგენა საბაზრო პროცესების რეგულირების რაღაც ინსტრუმენტის სახით. (თითქოს სპეკულაციები ხელს უწყობს მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას. თითქოს უფრო სწორი არ იყოს ის, რომ ეს სხვა გზით მოხდეს (მისი უარყოფითი შედეგი არ აღემატება დადებითს).

მუქთი ფაქტორებით შექმნილი შემოსავლის ნაწილის **არკუთვნილი მოგების** სახით მითვისება ეკონომიკური ძალაუფლების, ბაზრის მექანიზმის, ფასების, კრედიტისა და სხვა ეკონომიკური თუ ინსტიტუციური ბერკეტების დახმარებით, ცალკეული სუბიექტების თუ ადამიანთა ჯგუფების მიერ მათთვის **განსაკუთრებულ ხელსაყრელ გარემოებათა შედეგად. იგი მოგების უსამართლო მითვისების შენიღბულ ფორმად** წამოგვიდგება. ეს მეტწილად უცოდველ ფაქტად მიიჩნევა არსებული წესებისა და კანონმდებლობის ფარგლებში, ამასთან არღვევს **სამართლიანობის ზოგად, სიკეთეთა განაწილების საკაცობრიო ობიექტურ პრინციპს (კრიტერიუმს), როგორადაც გვევლინება დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილი (დამსახურება) და მიზანშეწონილობა.**

სრულიად სპეციფიკურია **კრიმინალური მოგება**. აქვე ვიტყვით, რომ მას არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით მოგება ვუწოდოთ ანუ, ჭეშმარიტი გაგებით, უნდა დაერქვას **ფსევდომოგება.** ის არა მარტო არ შეესაბამება საზოგადოების სიმდიდრის (დოვლათის) გადიდებას, არამედ მისი საზიანო პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებას ან სხვა ბოროტმოქმედებას, ანტიდოვლათის (ანტიფასეულობების) წარმოებას უკავშირდება. ამ დროს კრიმინალები მეწარმეობის თავისუფლებისა და დემოკრატიის შირმას ეფარებიან.

აქ, პირველ რიგში, უნდა ითქვას **კრიმინალური ბიზნესის** შესახებ, რომელიც მრავალი ფორმით (დაწყებული ნარკობიზნესით და დამთავრებული ტრეფიკინგით – ადამიანებით ვაჭრობით, პორნობიზნესით და სხვა) არის ცნობილი და გავრცელებული საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. ეს ბიზნესი სწრაფადაც ვითარდება, სრულყოფს თავის მეთოდებსა და სახეებს, ზოგჯერ მეტადაც, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო დოვლათის (სიკეთის) წარმოება. ზედმეტია კონკრეტული მსჯელობა გავმართოთ მის მასშტაბებსა და ბინძურ სახეობებზე, რაც თანაარსებობს საბაზრო ეკონომიკასთან და მისგან ბიძგებსაც იღებს. აქMგვინდა მხოლოდ ვთქვათ, რომ ის კაცობრიობის დიდი სირცხვილიცაა და დიდი ლაქაც საბაზრო სისტემისათვის.

ნეგატიური, ცალკეული ადამიანებისათვის დიდი მოგების მომტანია უკანონო საქმიანობის ისეთი სახეები, როგორიცაა: **კორუფცია, ძალაუფლების უკანონო გამოყენება, ბიზნესის უკანონო ლობირება და სხვა,** რომელსაც ეწევიან ცალკეული სუბიექტები არასამართლიანი, არკუთვნილი შემოსავლების მისაღებად, საზოგადოების საზიანოდ სახელმწიფოსა და თანამოქალაქეთა ხარჯზე. იქნებ სწორია, ამგვარი შემოსავალიც **კვაზიმოგების სახეობად** განვიხილოთ.

არკუთვნილი შემოსავლების მითვისების განსაკუთრებული ფორმაა **პოლიტიკური ძალაუფლების** ფაქტორის მეშვეობით **შემოსავლების გადანაწილების** მექანიზმის, არასამართლიანი საგადასახადო სისტემის (საკანონმდებლო წესით დადგენილი გადასახადებისა და მათი განაკვეთების) გამოყენებით ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლების გარკვეული ნაწილის ზედმეტად გადაქაჩვა სახელმწიფოს ხელში (ცენტრალიზებულ ფონდში, ბიუჯეტში), რაც პრაქტიკაში არცთუ იშვიათად გვხვდება.

ისტორიის მანძილზე მოგების **მითვისებისა და გამოყენების წესის პროგრესული ცვლილებები _ საზოგადოების ხელში (განკარგულებაში) მისი საერთო ინტერესებისათვის გამოსაყენებლად გადასული ნაწილის გადიდება შეინიშნება**. ეს აისახა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის როლის ზრდაში, საზოგადოების შემოსავლების (მთლიანი შინა პროდუქტის) განაწილებასა და, საერთოდ, სოციალურ პროცესებში. ამას კონკრეტული ფაქტები ადასტურებს. კორპორაციების მოგების გადასახადი (მოგების თანხის მიმართ) განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში დაახლ. 20-40%-ს და მეტსაც უდრის, ზოგიერთი პროდუქტიდან (ბუნებრივი აირი, ნავთობი და სხვა) ნახევარსაც აღწევს. მაგალითად, ბოლო ხანებში იგი შეადგენს: აშშ-ში 35 %-მდე, კანადაში –

36,1%-ზე მეტს, ბაჰრეინში – 46%-ს, დიდ ბრიტანეთში – 25%-ს, საფრანგეთში – 34%-ს, იაპონიაში – 37,5%-ს, გერმანიაში – 38-40%-ს, ესპანეთში – 35%-ს, თურქეთში – 32%-ს, ლიტვაში – 19%-ს, რუსეთში – 35,4%-ს, ყაზახეთში – 30%-ს, საქართველოში – 20%-ს და ა.შ.[18]

საბოლოოდ, **მოგების მითვისების თანამედროვე ფაქტობრივი საერთო სქემა** შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

მოგების მიღების (მითვისების) პირობები: წარმოების ფაქტორების საკუთრება, ეკონომიკური ძალაუფლება, ეკონომიკური მექანიზმი, არაეკონომიკური (პოლიტიკური და სხვა) ძალაუფლება, შენიღბული და უხეში ძალადობა, ფარული საქმიანობა.

მოგების მიმღები სუბიექტები: კერძო პირები, საზოგადოება (სახელმწიფო, საზოგადოებრივი ჯგუფები, ორგანიზაციები).

ფაქტორების მიხედვით მოგების მიმღებნი:

წარმოების არაპიროვნული ფაქტორების საკუთრების საფუძველზე _ აქციონერები (ინვესტორები), ქონების (ძირითადი კაპიტალის) და მიწის (ბუნებრივი რესურსების) მესაკუთრენი;

ინსტიტუციური ეკონომიკური ფაქტორის – ძალაუფლების (წარმოების ორგანიზაცია, რეგულირება) საფუძველზე – მეწარმეები;

არამართლზომიერი ეკონომიკური ძალაუფლების საფუძველზე - მონოპოლისტები;

შრომის ფაქტორის საფუძველზე – თვითდასაქმებულები, დაქირავებული მუშაკები;

არაკანონიერი და აშკარა ძალადობრივი ფაქტორების საფუძველზე _ კრიმინალები, ფარული საქმიანობით დაკავებულები;

პოლიტიკური ძალაუფლების (ნების), საზოგადოებრივი ზემოქმედების საფუძველზე _ სახელმწიფო, საზოგადოებრივი სტრუქტურები;

განსაკუთრებულ პირობათა საფუძველზე (გამართლება, აჟიოტაჟური ან შეკვეცილი მოთხოვნილება/მოთხოვნა _ მიწოდება, ხელსაყრელი მდგომარეობა შემოსავლების მიღების თვალსაზრისით და სხვა) – გამყიდველები, მომხმარებლები, ცალკეული პროფესიის ადამიანები, საფინანსო სისტემის დაწესებულებები და ა.შ.

აქ საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებული წესით მოგება მიითვისება როგორც ობიექტურად (კუთვნილი შემოსავალი), ისე დაუმსახურებლად, უსამართლოდ (არკუთვნილი შემოსავალი). ეს ხდება, ერთი მხრივ, კანონზომიერად მოქმედი ფაქტორების და, მეორე მხრივ, დოვლათის განაწილების სფეროში გარკვეული ქაოსის შემქმნელ გარემოებათა შედეგად, კანონზომიერებიდან გადახრილი მოვლენების მეშვეობითაც (რასაც არაიშვიათად ადგილი აქვს ეკონომიკასა და საზოგადოების ცხოვრებაში საერთოდ). ხაზი უნდა

[18] საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი. კომენტარი მოგების Cგადასახადის შემცირებაზე. თბ., 2007. გვ. 18.

გაესვას, რომ ობიექტურად არსებული, ისტორიული პროცესების შედეგად ჩამოყალიბებული გარემო (განაწილების წესი, მექანიზმი) გვევლინება ძირითადად მოგების დიდი ნაწილის ცალკეულ სუბიექტთა მიერ მითვისების საფუძველად.

მოგების მითვისების ეს პირობები ისევე, როგორც მთელი შემოსავლების განაწილების წესი, პრაქტიკამ ჩამოაყალიბა ცალკეულ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად. ამასთან, ნამდვილი სიბეცე **იქნებოდა ცალკეულ სუბიექტთა დიდი, მილიონობითა და მილიარდობით მოგება მათ პირად დამსახურებას მივაწეროთ (პირადი ფაქტორის პროდუქტად ჩავთვალოთ). მაშასადამე, ფაქტობრივად არსებობს მოგების სამართლიანად და უსამართლოდ მიმღებთა (მიმთვისებელთა) წრე.** აქედან გამომდინარე, **უნდა გამოვემშვიდობოთ მოგების კონცეფციებს, რომლებიც მას წარმოგვიდგენს კაპიტალის შემოსავლად, მეწარმის შემოსავლად, ცალსახად სამართლიან ან ცალსახად უსამართლო შემოსავლად და გადავიდეთ რეალობის ამსახველ შეხედულებაზე.**

რამდენადაც მოგების მიღების ასეთი წესის პირობებში ადგილი აქვს მის მითვისებას წმინდა პროდუქტის შექმნაში შეტანილი წვლილის, ე.ი. დამსახურების მიხედვით და მასზე მეტად, დაუმსახურებლად ანუ **კუთვნილი და კუთვნილზე მეტი (არკუთვნილი) შემოსავლის მიღებას, მოგების მითვისება სამარათლიანადაც და უსამართლოდაც საბაზრო ეკონომიკის თანამგზავრი და გარდაუვალი მოვლენაა.**

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მონაცემები სახელმწიფოს (საზოგადოების) ხელში მოგების ნაწილის გადასვლის შესახებ ასახავს **მოგების განაწილების სამართლიანობის ხარისხის ზრდას.** კერძოდ, ისინი გამოხატავს შემოსავლების გადანაწილების პროცესს, რითაც საბოლოოდ მოგების ანუ მუქთი ფაქტორებით შექმნილი შემოსავლების **ნაწილი გადადის მთელი საზოგადოების ხელში, ვისაც იგი, როგორც საყოველთაო ფაქტორებით შექმნილი შემოსავალი, ობიექტურად ეკუთვნის. ამ სფეროში სამართლიანობის დამკვიდრება არის ცხოვრების ჰუმანიზაციის დიდმნიშვნელოვანი პირობა.** ეს ნიშნავს, რომ ადგილი აქვს საზოგადოების წმინდა ანუ მუქთი (უსასყიდლო) ფაქტორების **მეშვეობით მიღებული პროდუქტის (შემოსავალის) უფრო მეტად სამართლიანობის, ე.ი. ობიექტურობისა და მიზანშეწონილობის (ალტრუიზმის) პრინციპების საფუძველზე განაწილების ტენდენციას.** ეს პრინციპები სხვადასხვა ზომით არის დაცული სხვადასხვა საზოგადოებაში (ქვეყანაში). იგი გამოიხატება ასევე ტრანსფერტების როგორც მოგების გადანაწილების ბერკეტის როლის ზრდით, ასევე სხვადასხვა, მ.შ. საგადასახადო შეღავათების, სუბსიდიების გაცემის გაფართოებით, სამოქალაქო ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის, ფუნდამენტური და მეცნიერების სხვა დარგების განვითარების დაფინანსების, სუბსიდიების გადიდებით, ინფრასტრუქტურული პროგრამების რეალიზაციით სახელმწიფოს (ე.ი. საზოგადოების) ხარჯზე. **ამაში საბოლოოდ თავს იჩენს ეკონომიკის სოციალიზაცია და ჰუმანიზაცია.**

ყოველივე ეს ხორციელდება თანდათანობით, ბუნებრივად, ევოლუციურად, ნგრევითი და ძალადობრივი პროცესების გარეშე და უნდა დაჩქარდეს საზოგადოების მიერ სათანადო ინსტიტუციური საშუალებებისა და ღონისძიებათა გამოყენებით. იგი უნდა გახდეს თანამედროვე განვითარებისა და პროგრესის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. გარდაქმნათა ასეთი მექანიზმი თანდათან ობიექტურად უკვე ყალიბდება, მაგრამ აუცილებელია ამ მხრივ საზოგადოების აქტიური მაკონსტრუირებელი მოქმედების გაძლიერება. მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოების ცხოვრებაში, მის ცვლილებებში, გაუმჯობესებაში.[19]

ამასთან, შემოსავლების განაწილების, საერთოდ, და მოგების მითვისების, კერძოდ, არსებული წესის შეუსაბამობა სამართლიანობისა (ობიექტურობისა) და მიზანშეწონილობის აუცილებელი დონისადმი, მეტისმეტად დიდი გადახრა მოგების შექმნაში სუბიექტების წვლილსა და მათ მიერ მითვისებულ წილს შორის, საერთოდ შექმნილი დოვლათის უსამართლო განაწილება, რჩება კაცობრიობის თანმდევ უდიდეს თავსატეხად. ამასთანაა დაკავშირებული მრავალი უბედურება, რაც თავს დასტყდომია და ატყდება ადამიანთა მოდგმას. მოგების არასწორი, არასამართლიანი მითვისება იყო და რჩება სოციალური უწესრიგობის, საბაზრო ეკონომიკის სიმახინჯეთა, არაჰუმანურობის გამოვლინებათა მიზეზი. ამაში იგულისხმება ადამიანთა უკიდურესი ქონებრივი უთანასწორობა, მათი ერთი ნაწილის მიერ ზედმეტი ქონების დაგროვება, უაზრო ფუფუნებითი მოხმარება, ცხოვრების სფეროებზე – პოლიტიკაზე, ზნეობაზე, ეკონომიკაზე სიმდიდრის ბატონობა (ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება), ადამიანთა დათრგუნვა, უფლებების პირდაპირი და არაპირდაპირი შელახვა, ერთეულების ნების საზოგადოებაზე თავს მოხვევა, საზოგადოების დაქსასულობა, დაპირისპირებულ, გაბატონებულ და დამოკიდებულ (დაჩაგრულ) ფენებად დაყოფა, დაძაბულობა, არასტაბილურობა და სხვა უკეთურობანი.[20]

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **ძნელია მოიძებნოს სამყაროში უწესრიგობის ისეთი სფერო, როგორიცაა დოვლათისა (შემოსავლებისა) და სიმდიდრის განაწილება**. ამას მარტივად ადასტურებს ის უზომო უთანასწორობა ადამიანებს შორის შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაში, რომელიც არავითარ ჩარჩოში არ ჯდება. მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა უღარიბესთა რიცხვს განეკუთვნება. თვით ქვეყნებს შიგნით ადგილი აქვს შემოსავლებისა და ქონების მხრივ უკიდურეს უთანასწორობას. ცალკეული მდიდრების შემოსავლები და ქონება ათასობით და მეტჯერ აღემატება საშუალო შემოსავლებსა და სიმდიდრეს, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შესახებ რომ

---

[19] ადამიანთა აქტიური მოქმედების მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში ხაზგასმულია ჯერ კიდევ ძველი დროის ფილოსოფოსების – პლატონის, არისტოტელეს, ასევე ე. კანტის, ფ. ბეკონის, ლეიბნიცის და ა.შ., თანამედროვეთა – ტ. პარსონსის, პ. შარდენის, პ.Kკუსის, ლ. ბერგერის ტ. ლუკმანის და სხვათა მიერ.

[20] Eეს სიმახინჯეები კარგად არის გადმოცემული ა. შვეიცერის, ე. ფრომის, პ. ბიუკენენის, ჯ. Pპერკინსის და სხვათა ნაშრომებში, ასევე ასახულია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაწყებული ცნობილ მწერალთა – ო. Bბალზაკის, ე. ზოლას, ჯ. გოლზუორთის ნაწარმოებებში და ა.შ.

არაფერი ვთქვათ. სიმდიდრის უდიდესი ნაწილი მოქცეულია მოსახლეობის მცირე რიცხვის ხელში. ვარაუდობენ, რომ მსოფლიო სიმდიდრის ნახევარი ეკუთვნის მოსახლეობის 1%-ს. თვით მდიდარ ქვეყნებში არის ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგალითად, აშშ-ში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 1960 წელს შეადგენდა 22,2%-ს, 2004 წელს _ 12,7%-ს.[21] დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს მოსახლეობის 2%-ზე ნაკლები ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა:. სლოვენია, ესტონეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ლატვია. სიღარიბის ეროვნული მაჩვენებელი შეადგენს სლოვენიაში 16,8%-ს, პოლონეთში – 14,8%-ს, ლატვიაში – 5,9%-ს. ბევრად მაღალია ეს მაჩვენებლები რიგ განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო კატასტროფულ დონეზეა დაბალი განვითარების ქვეყნებში, მაგალითად, ჯიბუტიში 1,25 დოლარი ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს ადამიანთა 80,5%, ბურუნდში – 81,3%. სულ მსოფლიოში მათი რიცხვი შეადგენს 1,3 მლრდ-ს ანუ მთელი მოსახლეობის თითქმის 1/4-ს[22].

ყოველივე ამის მიზეზია არა მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ნაწილის სიზარმაცე, ისტორიული თუ ბუნებრივი პირობები, ეკონომიკური განვითარების დონე, არამედ შემოსავლების უსამართლო განაწილებაც, მოგების მითვისების მახინჯი მექანიზმი. ამას კი სათანადო შეფასება არ ეძლევა, თითქოს ეს არც ისე მტკივნეული პრობლემა იყოს. ეს მდგომარეობა გარკვეულ წრეებს აწყობს კიდეც, ხოლო დანარჩენები მას სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ან იძულებული არიან შეეგუონ.

ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია მაღალ დონეზეა, სწორი გზით მიდის, შეიძლება მშვიდად იყვნენ და ცხოვრობდნენ დედამიწის მკვიდრნი? დოვლათის უსამართლო განაწილება და ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ქონებრივი და ცხოვრების დონის უთანაბრობა კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ჩვენს დროში. იგი დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნებსა და ხალხებს, მსოფლიოს.

დოვლათის (შემოსავლების) განაწილების პრობლემების გარშემო, თუ ვის რა და რამდენი ეკუთვნის, მეცნიერთა მთელი თაობები მუშაობდნენ და კვლავ იღწვიან. **გაკვირვებას იწვევს ის, რომ მხოლოდ ზოგიერთი ადასტურებს ამ უსამართლობას. ამასთან, მეცნიერულ საფუძველზე არავის დაუსაბუთებია მოგების სამართლიანი განაწილების გზები. დოვლათის შექმნისა და განაწილების ობიექტური, მათი ურთიერთკავშირის ამსახველი ჭეშმარიტად მეცნიერული თეორიის შექმნა საარსებოდ არის აუცილებელი მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის.**

მართლაც, **ვის ეკუთვნის მოგება, ვინ რამდენს უნდა იღებდეს სამართლიანობის და ობიექტურობის პირობებში?**

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ზოგადად შეიძლება აღინიშნოს შემდეგი (კონკრეტული საკითხების დამუშავება რჩება სამომავლო ამოცანად):

---

[21] Income. Reverty and Health Insurance Coverage in the USA .2004. Covemment Prinfing ofice. Washington. D.C. 2005.

[22] გაერო. მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ. 2010. გვ. 161-163 (რუსულ ენაზე).

- მოგების მხოლოდ ის ნაწილი უნდა მივიჩნიოთ ობიექტურ ეკონომიკურ ურთიერთობათა და განაწილების ფარგლებში სამართლიანად, რომელიც მიღებულია რეალური დოვლათის შექმნის პროცესში, შრომითი წვლილის შესაბამისად. ამაზე მეტად მიღებული და მითვისებული მოგება განაწილების ობიექტური წესის ჩარჩოებს სცილდება, უსამართლოა ობიექტურობის ფუნდამენტური პრინციპის მიხედვით, თუნდაც მისი მიღება არსებული წესით კანონიერად თვლებოდეს. მაშასადამე, უნდა ყველამ აღიაროს, რომ პრაქტიკაში საქმე გვაქვს სამართლიანად მითვისებულ (კუთვნილ) და უსამართლოდ მითვისებულ (არკუთვნილ) მოგებასთან. სამწუხაროდ, უსამართლოდ მითვისებული მოგება რომ იკავებს მთელი მოგების დიდ ნაწილს, სწორედ ეს ქმნის არსებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემის წიაღში უსამართლობის, გადამეტებული უთანასწორობის,სიკეთეთა განაწილებისა და სოციალური ქაოსის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

- ჩვენი მსჯელობიდან ასევე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ არსებობს მოგების სამი ფორმა: 1. რეალური, ნამდვილი წმინდა პროდუქტიდან წარმომდგარი მოგება – წმინდა პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა, საზოგადოების რეალური შემოსავლების, დოვლათის (სიმდიდრის) ნამატი; 2. გადანაწილებით სხვის ხარჯზე, კანონიერად თუ არაკანონიერად, კრიმინალური საქმიანობით მიღებული მოგება; 3. ფაქტობრივად ირეალური მოგება, რომელსაც არავითარი ნამდვილი სიკეთე არ შეესაბამება, მაგრამ მონაწილეობს საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში, ე.ი. ფსევდომოგება.

მოგების მიღებისა და მითვისების წესი და რეალური სურათი, უსამართლო მოგების შეფარდება მთელ შემოსავლებთან (მოგებასთან) გვიჩვენებს საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვიდრების დონეს, მაშასადამე, საზოგადოების პროგრესულობას, დემოკრატიულობას, ცივილიზებულობას.

- დოვლათის, საერთოდ, და მოგების, კერძოდ, სამარათლიანი განაწილებისა და მითვისებისაკენ სვლა წარმოგვიდგება საზოგადოების ჰუმანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად და კრიტერიუმად. ლოგიკა და ობიექტურობის პრინციპი, როგორც სოციალური წესრიგის მთავარი საყრდენები, გვკარნახობს, რომ მოგების, როგორც სოციალური ენერგიის მუქთი საყოველთაო ფაქტორების გამოყენების შედეგად მიღებული წმინდა პროდუქტის გარდაქმნილი ფორმის მითვისება უნდა ხდებოდეს, პირველ რიგში, შრომითი წვლილის მიხედვით კერძო სუბიექტების მიერ, დანარჩენისა _ სახელმწიფოს, შრომითი კო-ლექტივებისა და სხვათა მიერ საზოგადოებისაგან დადგენილი წესის, ე.ი. დამსახურებისა და მიზანშეწონილობის, ასევე ალტრუიზმის პრინციპის საფუძველზე. ეს უკანასკნელი უნდა მოხმარდეს საყოველთაო საზოგადოებრივ საჭიროებებსა და სოციალურ პროგრამებს, შემოსავლებს მოკლებული ფენების ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგების მითვისება უნდა ექვემდებარებოდეს მისი წყაროს – წმინდა პროდუქტის შემქმნელი სუბიექტების _ ამ პროდუქტის შექმნაში შეტანილი წვლილის სიდიდეს, ასევე სოციალურ მიზანშეწონილობას.

ასეთ პირობებში **მოგების სამართლიანი მითვისება** შემდეგნაირად წარ-მოგვიდგება (ჰიპოთეზური მოდელი):

მოგების მიმღები სუბიექტები _ კერძო პირები და საზოგადოება (სახელმწიფო, ადამიანთა ჯგუფები, კოლექტივები).

მოგების მითვისების ფაქტორები _ ეკონომიკური ძალაუფლება (შრომით დაგროვილი საკუთრება), შრომა (საქმიანობა), პოლიტიკური ძალაუფლება, საზოგადოების ნება.

მოგების განაწილება ფაქტორების მიხედვით:

მოგების მიმთვისებლები **ეკონომიკური ძალაუფლებისა და მექანიზმის საფუძველზე** _ შრომით დაგროვილი კაპიტალის მესაკუთრენი;

მოგების მიმთვისებლები **შრომის ფაქტორის** საფუძველზე _ წარმოების ორგანიზატორები, თვითდასაქმებულები, შრომითი კოლექტივების წევრები;

მოგების განმკარგველი **პოლიტიკური ძალაუფლების, საზოგადოების ნებისა და მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე** _ სახელმწიფო, შრომითი (საწარმოო) კოლექტივები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

ყველა ამ შემთხვევაში კერძო პირთა მოგების სიდიდე უნდა განისაზღვროს **სუბიექტების პირადი შრომითი წვლილით, საზოგადოების ხელში კი თავს იყრის მოგების ანუ საყოველთაო (დანახარჯზე მეტი, ე.ი. მუქთი შედეგის მომცემი) ფაქტორების მეშვეობით შექმნილი წმინდა შემოსავლების უდიდესი ნაწილი.**

წმინდა პროდუქტის განაწილების, მოგების მითვისების ეს წესი ნიშნავს მოგების მიღებასა და განკარგვას იმათ მიერ, **ვისაც იგი ეკუთვნის, მის შექმნაში შრომითი წვლილის და საზოგადოების მიერ დადგენილი პრინციპების (სოციალური მიზანშეწონილობა, ალტრუიზმი) საფუძველზე.** სწორედ ასეთი წესი შეესაბამება მოგების გამოყენებას მთელი საზოგადოებისა და მისი წევრების სასარგებლოდ.

მოგების ამგვარი მითვისება შეესაბამება **სამართლიანობის (ობიექტურობის) დამკვიდრებას საზოგადოების ცხოვრებაში, სოციალური წინააღმდეგობების დაძლევას, ჭეშმარიტი ჰუმანურობის უზრუნველყოფას ადამიანთა ცხოვრებაში**. იგი ამავე დროს განაპირობებს ეკონომიკის ეფექტიანობას, რესურსების რაციონალურად გამოყენებას, რამდენადაც ამით დაიძლევა დაბრკოლებანი, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრებაში უსამართლობის არსებობასთან და ხელს უშლის ეკონომიკის ეფექტიანად განვითარებას.

აღნიშნული მოსაზრებები ემყარება იმას, რომ სამართლიანობის (ობიექტურობის) კრიტერიუმისა და ჭეშმარიტების ლოგიკის შესაბამისად, **მოგების უდიდეს ნაწილს, როგორც საყოველთაო წყაროების მოქმედებით შექმნილს, უნდა განკარგავდეს და აკონტროლებდეს საზოგადოება – დემოკრატიული, მთელი საზოგადოების ნების გამომხატველი სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები.** ეს დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება. ამ წესით მოგების განაწილება და მითვისება თანდათანობით ფართოვდება, როგორც ეს მოგების დაბეგვრისა და სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ფონდში გადაცემის შესახებ ზემოთ მოტანილი მონაცემებით

ვნახეთ. **არსებობს ამის დამადასტურებელი სხვა მრავალი ფაქტი და მონაცემი. მაგრამ ეს საკმარისი არაა. მოგების განაწილება და მითვისება უნდა გახდეს ისეთი, როგორიც უნდა იყოს – სავსებით სამართლიანი, ობიექტური და ზნეობრივი, მაშასადამე, ყველამ უნდა მიიღოს ის, რაც ობიექტურად ეკუთვნის (გამოიმუშავა საკუთარი წვლილით შემოსავლების შექმნაში ან სოციალური მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე ერგება) და არავინ მეტი, რაც ჯერჯერობით ვერაა მიღწეული.**

მოგების მითვისების ამგვარი წესი გამორიცხავს მისი უდიდესი ნაწილის მოხვედრას ოლიგარქების ხელში უმძიმესი ნეგატიური შედე–გებით საზოგადოებისათვის (ადამიანთა ზღვარგადასული უთანასწორობა, კაპიტალის ბატონობა ადამიანებზე, შრომაზე, პოლიტიკაზე და სხვ.). იგი დაკავშირებული იქნება ღრმა პროგრესულ ძვრებთან ეკონომიკაში, განაწილებით, საკუთრებით და, საერთოდ, ეკონომიკურ ურთიერთობებში. თავის მხრივ, ეს პროცესი იქნება სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, საზოგადოების ცხოვრების წესში ძირეული ძვრების მომასწავებელი, ნახტომი **ნამდვილი, ახალი ადამიანური ეკონომიკისაკენ, ეკონომიკისა და მთელი ცხოვრების ჰუმანიზაციისაკენ.** ეს წესი უზრუნველყოფს როგორც უმაღლეს მიზანმიმართულ ეკონომიკურ სტიმულებს ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის, ასევე მოგების საყოველთაო კეთილდღეობისაკენ მიმართვას.

გვესმის, რომ ზემოთ გადმოცემული მოსაზრებებით ვუპირისპირდებით მოგების კატეგორიის არსებულ არა მარტო მარქსისტულ, არამედ სხვა, მათ შორის თანამედროვე თეორიებს. დღემდე მოგების რაობისა და განაწილების საკითხები ეკონომიკურ თეორიაში ამგვარად არ დგას და არ განიხილება. ჩვენ-თვის ცხადია ისიც, თუ რატომ არაა მოგების ირგვლივ ჭეშმარიტება საინტერესო და ხელსაყრელი ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის (ჯგუფებისათვის). მაგრამ მტკიცედ გვჯერა, რომ **მოგების კატეგორიის სრული, ჭეშმარიტი გაგება, მისი განაწილებისა და მითვისების პრაქტიკაში სამართლიანობისა და ობიექტურობის დამკვიდრება მკაცრი გამოწვევაა კაცობრიობის წინაშე**. ეს აუცილებელია ჰუმანური ცხოვრების წესისათვის, სრულფასოვან განვითარებაზე ზრუნვისთვის. შემოგვედავებიან, რომ ჩვენი ძირითადი დებულებები მოგების ცნებაში არ ჯდება, მისი არასწორი გაგებაა. ჩვენც კარგად გვესმის, რომ ისინი არსებულ შეხედულებებში არ ჯდება. მაგრამ არა უშავს, მთავარია ის შეესაბამებოდეს სინამდვილეს, ჭეშმარიტებას. ვცდილობთ მოგების ახლებური ჭეშმარიტი გაგება დავასაბუთოთ და არ გვაფიქრებს, ვინ რა აზრისაა მასზე.

4. მოგების გამოყენება და საყოველთაო კეთილდღეობა. მესამე ეკონომიკა

მოგების გამოყენების **ახალი კონცეფცია,** რომელსაც აქ ჩამოვაყალიბებთ, ისევე არ ემთხვევა არსებულს, როგორც მისი წარმოქმნისა და მითვისების ჩვენი თვალსაზრისი. იგი შეიცავს ნოვაციებს, რითაც პრინციპულად განსხვავდება ფართოდ აღიარებული და გავრცელებული შეხედულებათაგან. ჩვენი აზრით, სწორედ ამით ის უკეთ ასახავს რეალობას და ჰუმანური განვითარების პერსპექტივას პასუხობს.

მიღებული და მითვისებული მოგების გამოყენების წესი და ხასიათი საბოლოო წარმოდგენას გვაძლევს მოგების სოციალლურ არსზე, ბუნებაზე, ასევე, რაც მეტად მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დონეზე. აქ ვლინდება ის, თუ საბოლოოდ რამდენად ხმარდება მოგება იმათ კეთილდღეობას, ვინც მის შექმნაში მონაწილეობს, ვისაც ის ობიექტურად ეკუთვნის, ასევე მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. გამოყენების წესით საბოლოოდ ნათელი ხდება, რა სარგებლობას იღებს საზოგადოების ცალკეული ფენები მისგან.[23] სწორედ საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლებაში უნდა გამოიხატოს მოგების გამოყენების ნამდვილი რაციონალობა.

ქვემოთ მსჯელობა გვექნება **მოგების** გამოყენებაზე ფაქტობრივად არსებული წესით და რაციონალურად (ეფექტიანად), ასევე სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციის მოთხოვნის შესაბამისად გამოყენების შესახებ. ეს ეხება **რეალურ მოგებას,** მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ **ირეალურ (ფსევდო) მოგების** გამოყენების საკითხსაც. ამაში უშუალოდ თავს იჩენს მოგების მიმღები სუბიექტების მიერ თავისივე და საზოგადოების სასარგებლოდ თუ საზიანოდ მისი გამოყენება, საზოგადოებაში ობიექტურობის, სამართლიანობის, ზნეობის დონე.

რეალური მოგების გამოყენების მექანიზმი თავისთავად გულისხმობს მისი მიმღები სუბიექტებისა და საზოგადოების ინტერესების შერწყმას, ურთიერთკავშირს ობიექტურ საფუძველზე ანუ იმის მიხედვით, ვის რა ერგება, ვინ რა დაიმსახურა. გამოყენებასთანაა დაკავშირებული მის შექმნაში მონაწილეთა ინტერესი რეალური წმინდა შემოსავლის მიღებისა და გადიდების მხრივ, მთელი საზოგადოების დოვლათის (სიმდიდრის) ზრდა. ამასთან, სამართლიანობის, მაშასადამე ეკონომიკის ჰუმანიზაციის, საყოველთაო, თითოეულისა და ყველას კეთილდღეობასთან შესატყვისობის თვალსაზრისით, საკითხი დგას იმის შესახებ, **თუ რამდენად ადეკვატურად, მართებულად ხორციელდება მოგების მითვისებასა და გამოყენებაში სამარათლიანობის პრინციპი და სუბიექტთა და საზოგადოების ინტერესების შერწყმა.** ამ კუთხით ჯერ განვიხილოთ და შევაფასოთ მოგების გამოყენების ის წესი, რაც დღეისათვის

[23] ეს მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა ყველას როდი აქვს სამართლიანობის საკმაო შეგრძნება და ბევრიც ატროფირებულია მის მიმართ ან უსამართლობა სულაც თავის სასარგებლო მოვლენად მიაჩნია. ამიტომ, უსამართლობის სამყაროში თავს კარგად გრძნობს. მაგრამ ამ გზას მთელი საზოგადოება ვერ გაჰყვება. ამისთვის სამართლიანობა ისევე საჭიროა, როგორც სხვა ფასეულობები, რომელთა გარეშე საზოგადოება ინგრევა, როგორც ცუდად აშენებული კედელი.

არსებობს, შემდეგ კი შეიძლება ვიმსჯელოთ მართებული წესის ირგვლივ, როგო–რადაც ის წარმოგვიდგება.

მნიშვნელოვანია მოგების, ისევე როგორც მთელი შემოსავლის, გამოყენების ეფექტიანობის საკითხი, თუ **რამდენადაა ის სარგებლობის მომტანი საზოგადოებისა და მისი წევრებისათვის ანუ რამდენად ხმარდება ადამიანთა რეალური კეთილდღეობის ამაღლებას.** სხვანაირად ეს ნიშნავს იმას, თუ **რამდენად ტრანსფორმირდება მოგება ნამდვილ სოციალურ სიკეთეში, საზოგადოების კეთილდღეობაში.** ცხადია, მოგების სხვადასხვა მიზნით და წესით გამოყენება ერთსა და იმავე სოციალურ შედეგს, ე.ი. ერთნაირ რეალურ სიკეთეს არ იძლევა. იგი, როგორც დოვლათი, შემოსავალი მაქსიმალური საბოლოო შედეგით, კეთილდღეობის ამაღლებისთვის ყაირათიანად ან კიდევ, არაიშვიათად უყაირათოდ, ფუჭი მიზნებისათვის, უაზროდ, საზოგადოებისა და ინდივიდთა საზიანოდაც შეიძლება იქნეს გამოყენებული და გამოიყენება კიდეც. ეს მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, როგორიცაა: მიზანი, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ტექნოლოგიები, ორგანიზაციის ფაქტორი და სხვა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მოგების მითვისებისა და გამოყენების ხასიათით. მოგების საბოლოო შედეგის თვალსაზრისით შევჩერდებით ამ უკანასკნელზე.

მნიშვნელოვანი მომენტია, რომ **მოგების მითვისება და გამოყენება მიმღებისა და გამომყენებლის ინტერესისა და მოტანილი შედეგების მიხედვით არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, მითვისებაში მხოლოდ კერძო ინტერესი და კერძო შედეგი ძევს, ხოლო გამოყენებაში კერძო და საზოგადოებრივი ინტერესი და შედეგია შერწყმული.** მოგების მიმთვისებელი – კაპიტალის მესაკუთრე, მეწარმე და სხვები ზრდიან თავიანთ შემოსავალს და სიმდიდრეს. მოგების გამოყენების პროცესი კი დაკავშირებულია როგორც კერძო (მოგების პირველად მიმთვისებელთა), ისე საზოგადოების წევრთა თუ მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასთან _ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ადამიანთა შემოსავლების, ქვეყნის საერთო დოვლათის ზრდასთან, რასაც **სიკეთე მოაქვს საზოგადოების წევრებისათვის, მთლიანად საზოგადოებისათვის და არა მხოლოდ მოგების მიმთვისებლისათვის.** ასეთი შედეგის გარეშე მოგების არსებობა შეუძლებელი იქნებოდა და აზრსაც დაკარგავდა.

მაშასადამე, მოგების მიმღები სუბიექტები (რომლებიც ზემოთ დავახასიათეთ, გარდა კრიმინალებისა), ჩვეულებრივ მას, როგორც საერთოდ შემოსავალს, პირველ რიგში, **ორი მიზნით იყენებენ: საკუთარი კეთილდღეობისა და წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის, რაც შეესაბამება პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს.** ცალმხრივი ინტერესით საქმიანობა ისევე შეუძლებელია, როგორც ცალი ფეხით სირბილი. ამ თვალსაზრისით მოგება დაიყოფა ორ _ მოხმარებისა და დაგროვების ფონდად. ეკონომიკის, მისი სუბიექტების ფუნქციონირება სხვანაირად შეუძლებელია.[24] სწორედ დაგროვების ფონდი

[24] ინდივიდუალიზმის ფილოსოფიის თვალსაზრისი, რომ თითოეულმა ადამიანმა იზრუნოს მხოლოდ საკუთარი თავისთვის და ყველა კარგად იქნება, აბსურდია, რასაც პრაქტიკა ამტკიცებს.Eეს უფრო ცხოველურ ქცევას შეესაბამება. ამგვარი მოქმედებით ნამდვილ სასარგებლო მიზანს უკეთ ვერავინ ვერ

ძირითადად გამოხატავს, საკუთართან ერთად, საზოგადოებისა და მის წევრთა ინტერესებს, რამდენადაც იგი უმეტესად გამოიყენება ეკონომიკის განვი–თარებისათვის და ცხოვრების გაუმჯობესების მატერიალური ბაზის გაფართოებისა და სრულყოფისათვის. მოხმარების ფონდში გადასული მოგება ჩვეულებრივ ემსახურება შესაბამისი სუბიექტების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას.

ამასთან, არსებობს **გადახრები და მოგების გამოყენება არაგონივრული, არაჯანსაღი, უაზრო, ფუფუნებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტი სიმდიდრის შესაქმნელად.**[25] **ცალკე საკითხია ის, რომ მოგება ზოგჯერ გამოიყენება პირდაპირ საზოგადოებისა და მისი წევრების საზიანო მიზნებისათვისაც.** ეს ეხება როგორც დაგროვების, ისე მოხმარების ფონდებს.

შევეხოთ ცალკეული სუბიექტების მოგების გამოყენებას, როგორიც ის დღეისთვის არსებობს.

მეწარმეთა მოგება, მისი მიღების წესიდან გამომდინარე, გამოიყენება მიმდინარე მოხმარებისა და დაზოგვისთვის (ინვესტირებისავის), ე.ი. პირადი კეთილდღეობისა და წარმოების განვითარება-სრულყოფისთვის (ტექნიკური განვითარება, კადრების მომზადება, ინოვაციური საქმიანობა და ა.შ.).[26] მოგების გარკვეული ნაწილის გადაცემა საზოგადოების ფონდში (ბიუჯეტში) საერთო საჭიროებებისთვის ნიშნავს, რომ იგი ემსახურება საზოგადოების საერთო და მოსახლეობის გარკვეული ფენების ინტერესებს. მოგების პირადი კეთილდღეობისთვის გამოყენებული დიდი ნაწილი ჩვეულებრივ ხმარდება **ფუფუნებით, ზედმეტ** მოხმარებას (ზედმეტი სიმდიდრის დაგროვებას), რაც საერთოდ მისი **ფუჭი, ფსევდოკეთილდღეობისათვის** გამოყენებად წარმო-გვიდგება. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ მეწარმეობრივი შემოსავლის (მოგების) გამოყენება ხდება, ჯერ ერთი, გონივრული მიზნებისათვის _ პირადი რეალური კეთილდღეობისთვის და საზოგადოების ინტერესებისათვის _ წარმოების გაფართოება-სრულყოფისთვის, ასევე საერთო საზოგადოებრივ

მიაღწევს. უფრო ამართლებს და შედეგიანია ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, საერთო ძალისხმევით ცხოვრების პრობლემების გადაწყვეტა.

[25] ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებისთვის საერთოდ მნიშვნელოვანია "ზედმეტის" კატეგორია. იგულისხმება ის, რაც ადამიანთა ნორმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭიროზე მეტია და რეალურად არავითარ სიკეთეს არ შეიცავს ადამიანებისათვის, მხოლოდ მათ მახინჯ (ფსევდო) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება. ეს შესაძლოა გაუგებარი აღმოჩნდეს ბევრისათვის, ვინც ყოფითი მატერიალიზმის ჭაობშია ჩაფლული, მაგრამ ამას ანგარიშს არ ვუწევთ, რადგან მიგვაჩნია, რომ უბრალოდ ჯანსაღი აზრი და ჯანსაღად მოაზროვნენი ჩვენ მხარეზე არიან.

ზედმეტი, უაზრო, არსებითად უსარგებლო მოხმარება საინტერესოდ აქვს განხილული ტ. ვებლენს წიგნში "უქმი კლასის თეორია".Mმას ვეხებით ნაშრომში "ზომიერი ადამიანი" ჟურნ. "Homo Esperans", [1]2, 2005.

[26] ჯ.ს. მილი ამის შესახებ აღნიშნავდა: მას შემდეგ, რაც კაპიტალისტი აანაზღაურებს თავის დანახარჯებს, ჩვეულებრივ რჩება გარკვეული ნამეტი, რაც შეადგენს მის მოგებას, მის მიერ საქმეში ჩადებული კაპიტალის წმინდა მოგებას – იმ სიდიდეს, რაც შეუძლია გამოიყენოს თავისი მოთხოვნილებების ან სურვილების დაკმაყოფილებისთვის ან რომლის ხარჯზე შეუძლია გაზარდოს თავისი სიმდიდრე (წიგნიდან: J. S. Mill. Principles of Political Economy.Mმოსკოვი. 1980.Pგვ. 127. (რუსული გამოცემა).

საჭიროებათა დაფნანსებაში მონაწილეობისთვის და, მეორე, ჯანსაღი აზრით თუ ვიმსჯელებთ, მოჩვენებითი, ფუჭი კეთილდღეობისთვის.

მესაკუთრეთა შემოსავლები (პროცენტი კაპიტალიდან, რენტა ბუნებრივი რესურსებიდან და ქონებიდან) უმთავრესად გამოიყენება პირადი კეთილდღეობისათვის, მ.შ. ფუჭი, მოჩვენებითი კეთილდღეობისა და წარმოების განვითარებაში მონაწილეობისთვის მომავალი შემოსავლების გადიდების მიზნით, ასევე საერთო-საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის (ბიუჯეტში შეტანილი სახსრები და სხვა). **საკუთარი საქმიანობით _ თვითდასაქმებით და დაქირავებული შრომის პირობებში მიღებული (შრომის ანაზღაურებაში შემავალი) მოგება** გამოიყენება ინდივიდთა მიერ პირადი და ოჯახის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, საქმიანობის პირობების სრულყოფისთვის (ტექნიკური აღ-ჭურვა, კვალიფიკაციის ამაღლება, სიახლეთა შემოღება და ა.შ.). კუთვნილზე მეტად მიღებული (ზემოთ განხილული გარკვეული კატეგორიის მუშაკების მიერ) ნაწილი ხმარდება **პირადი ზედმეტი სიმდიდრის დაგროვებას, ფუფუნებით (ფუჭ) მოხმარებასა და ცხოვრების სხვა არარაციონალურ მიზანს.** მოგების ერთი ნაწილი კი, დადგენილი წესით, გადადის საზოგადოების საჭიროებებისთვის საერთო ფონდებში (ბიუჯეტში და სხვ.), ასევე გაფართოებულ კვლავწარმოებაში მონაწილეობისთვის წარიმართება.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე არაკანონიერი გზით მიღებული და **კრინიმალური** (ფსევდო) მოგების გამოყენების შემთხვევაში. იგი ხმარდება დაუმსახურებლად მიმღებთა, დამნაშავეთა კეთილდღეობას, საქმიანობის გაფართოებას. სამწუხაროდ, ასეთი მოგების მასშტაბები მეტისმეტად დიდი და მზარდია, რაც მრავალ მატერიალურ, ზნეობრივ, სოციალურ პრობლემას უქმნის საზოგადოებას. აქ უსამართლობის აშკარა და უმძიმეს, აღმაშფოთებელ ფორმასთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ იგი ფარულ ხასიათს ატარებს. კორუფციის, ძარცვის, კრიმინალური საქმიანობის სხვა ფორმებით მიღებული მოგება შესაძლოა იყოს ინვესტირებული სასარგებლო დოვლათის წარმოებაშიც, მაგრამ იგი ისევ, საზოგადოებისათვის თვალის ახვევის გზით, უკანონო შემოსავლების მისაღებად გამოიყენება.

წარმოქმნის პირობათა საფუძველზე **მართებულია ის, რომ საზოგადოების ხელში მის მიერ დადგენილი ობიექტური წესით, მიზანშეწონილობისა და ალტრუიზმის პრინციპის საფუძველზე, გადადიოდეს საზოგადოების საერთო საჭიროებებსა და მოქალაქეთა ცალკეულ (შეჭირვებულ) ფენებს ხმარდებოდეს მოგების დიდი ნაწილი. წარმომავლობის მიხედვით, საყოველთაო (მუქთი) წყაროებიდან მიღებული შემოსავალი ერგება მთელ ხალხს, მთელ საზოგადოებას, რომელსაც უნდა მოხმარდეს იგი განაწილებისა და გამოყენების ზემოთ გადმოცემული პრინციპების შესაბამისად. მხოლოდ ამგვარ პირობებში ისპობა საზოგადოებაში ყოველგვარი ზღვარგადასული უთანასწორობა, ყა-ლიბდება სამართლიანი საზოგადოება.** ეს პირობა პრაქტიკაში არ სრულდება ადეკვატურად ანუ ადგილი აქვს გადახრებს. ამისი მიზეზია არსებული ეკონომიკური მექანიზმი, დოვლათის განაწილებისა და გამოყენების მახინჯი

ფორმების არსებობა, პოლიტიკოსთა მხრივ შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად, არასაკმარისი ცოდნისა და უნარის, შეცდომების გამო ეკონომიკაზე გაუმართლებელი ზემოქმედება.

მთლიანობაში კი მოგების გამოყენების დღეისათვის არსებული წესის ფარგლებში, იგი გამოიყენება პირადი და საზოგადოებრივი სიკეთის წარმოქმნისა და მითვისების რესურსად, მცირდება თავდაპირველი განაწილებითი ურთიერთობის უსამართლობა, მოგების საბოლოო მითვისება და გამოყენება სულ უფრო მეტად იღებს საზოგადოებრივ ხასიათს, მისი სიკეთის თანამონაწილე ხდება მთელი საზოგადოება და მისი წევრები, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ შორსაა სასურველობიდან.

ფაქტები ადასტურებს, რომ გადასახადების მეშვეობით საზოგადოების ხელში თავს იყრის და მთელი საზოგადოების, მისი წევრების საჭიროებებისთვის გამოიყენება მთელი შექმნილი დოვლათის (შემოსავლების) დიდი ნაწილი. ამ ნაწილის ხვედრითი წილი საგრძნობლად გაიზარდა ბოლო საუკუნეში. სხვა-დასხვა დროს იგი სხვადასხვა იყო და არის. ამჟამად იგი, ქვეყნების მიხედვით, დაახლოებით მთლიანი შინა პროდუქტის (მშპ) ერთი მეოთხედიდან ნახევარსა და მეტს აღწევს.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გადიდების კვალობაზე სახელმწიფოს განკარგულებაში გადასული და სახელმწიფოს მიერ საერთო-საზოგადოებრივი საჭიროებისა და ადამიანთა სოციალური დაცვისათვის გაწეული ხარჯები ქვეყნის მშპ-ში მეოცე საუკუნის ბოლოსათვის შეადგენდა: ავსტრალიაში 32,6%-ს, კანადაში – 37,4%-ს, საფრანგეთში – 51%-ს, გერმანიაში – 49,8%-ს, იაპონიაში – 38,3%-ს, იტალიაში – 54,3%-ს, გაერთიანებულ სამეფოში – 38,8%-ს, აშშ-ში – 35,1%-ს, შვეიცარიაში – 53,1%-ს და ა.შ. მე-20 ს-ის დასაწყისში კი გა-დასახადების წილი ბევრ ქვეყანაში მშპ ერთ მეათედზე ნაკლები იყო, მაგალითად, აშშ-ში – 8%.[27]

ეს მიგვანიშნებს **ეკონომიკის სოციალიზაციის ხარისხის ამაღლებაზე**, იმაზე, რომ მოგება სულ უფრო მეტად ემსახურება საერთო-საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, საერთო კეთილდღეობას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მოგების გარკვეული ნაწილის მიმართვას **ცალკეული სუბიექტებისა და ორგანიზაციების მიერ ნებაყოფილობით, კეთილი ნების, ალტრუისტული მოტივაციის საფუძველზე ქველმოქმედებისთვის** – ადამიანებისადმი, მათი ჯგუფებისადმი, დაწესებულებებისადმი, ქვეყნებისადმი, რომლებიც ასეთ შემწეობას საჭიროებენ, უანგარო დახმარებისთვის. ეს ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, მაგრამ განსაკუთრებით დამკვიდრდა მეცხრამეტე საუკუნეში და გაფართოვდა შემდგომ პერიოდში. იგი საზოგადოების საერთო კულტურის, ჰუმანური ბუნების გაძლიერების დადასტურებაა და კაცობრიობის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტია.

---

[27] წყარო: United national Accounts statistics. Goverment Accounts and Tables . 1983. Yahrbook. Country. Tabl. 2.3. Survey of corrent business . Yuly. 1986. Tabl. 3.14.

მაშასადამე, მოგების გამოყენების წესიდან აშკარაა, რომ **მოგება არაა საბოლოოდ მხოლოდ ცალკეულ სუბიექტთა ინტერესისა და სარგებლის საგანი, არ იხარჯება მხოლოდ მის მიმღებთა და მიმთვისებელთა კეთილდღეობისა და მიზნებისთვის,** როგორც ამას მარქსიზმის წარმომადგენლები და სხვები ამტკიცებენ. **ის ასეთი არ შეიძლება იყოს ლოგიკით**. მაშინ მისი შექმნა და გადიდება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან დაინგრეოდა მისი საფუძველი, რამდენადაც იგი არის კერძო და საზოგადოებრივი ფაქტორების ერთობლივი პროდუქტი.

მაგრამ მოგების მითვისებისა და გამოყენების წესის უსამართლობა, რაც შენიღბულია საბაზრო ურთიერთობებითა და კანონებით, საკმაოდ დიდია და ზემოთ აღნიშნული გადანაწილებითი გზებით ვერ მოისპობა.

საერთოდ, მოგების გამოყენების უსამართლობის სიმწვავე ღრმავდება იმითაც, რომ მის მითვისებისა და გამოყენების არამართლზომიერების გაცნობიერების დონე საზოგადოების ცივილიზებულობის კვალობაზე მაღლა იწევს. ამრიგად, იგი იძენს უკიდურეს ხასიათს, რაც მთელი საზოგადოების ერთ-ერთი უმძიმესი გამოწვევაა, თუმცა შენიღბული ხასიათის გამო, მაინც სათანადოდ არაა გაცნობიერებული.

მოგებასთან დაკავშირებულ უსამართლობათა ნეგატიური სოციალური შედეგები მეტად მძიმედ აწევს საზოგადოებას. იგი მრავალი სახით გამოვლინდება. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ესაა: **ქონების და სხვა სოციალურ სიკეთეთა ზღვარგადასული უთანაბრო განაწილება, რასაც თან ახლავს მოსახლეობის სხვადახვა ფენის უკიდურესად განხვავებული ცხოვრების დონე, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურობისა და წესრიგის პრინციპებს; საზოგადოების რესურსების დიდი ნაწილის არაეფექტიანი გამოყენება ადამიანთა გარკვეული ჯგუფების არარაციონალური მოხმარების საგნების წარმოებისათვის; სოციალური დაძაბულობა, ნაკლები სიმშვიდე და საზოგადოებრივ ურთიერთობათა არაჰარმონიული ხასიათი; მთელი საზოგადოებისა და ეკონომიკის ჰუმანიზაციის არასაკმარისი დონე და სხვა.**[28]

საბოლოოდ, მოგების გამოყენება და მისი სოციალური შედეგები შეიძლება შევაფასოთ საკაცობრიო ფასეულობათა _ **სიკეთისა და ბოროტების** თვალსაზრისით. ამგვარი ასპექტით მოგების რთული ბუნება წარმოდგება მისი წარმოქმნისა და განაწილების პროცესიდან მთელი დოვლათის (შემოსავლების) განაწილებასთან კავშირში. საზოგადოებაში სამართლიანობის დონე (ხარისხი) განისაზღვრება სწორედ მთელი შემოსავლების განაწილებასთან ერთად, წმინდა პროდუქტის განაწილების _ სუბიექტთა მოგების წარმოქმნის წესისა და

[28] შევნიშნავთ, რომ აქ მოგების გამოყენების დეტალები, ფაქტები არ გვაინტერესებს. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ მისი არსი, ხასიათი და სოციალური შედეგები ზოგადად. ამიტომ კონკრეტული ფაქტების განხილვას არ შევუდგებით, რაც შორს წაგვიყვანს. ასეთი ფაქტები მრავლადაა და ადვილად მისაწვდომია ყველასათვის. აქვე დავძენთ, რომ ვაპირებთ აღნიშნულ უსამართლობათა სოციალური "ფასი" შემდგომ, სხვა ნაშრომში უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად განვიხილოთ.

გამოყენების სამართლიანობის (ობიექტურობის) ხარისხით. ეს ასევე ასახავს **საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს, რაც პროგრესის მთავარი კრიტერიუმი და ორიენტირია**. დღევანდელობისა და პერსპექტივისათვის დღის წესრიგში მწვავედ დგება როგორც **მთელი შემოსავლების, ისე მოგების მითვისებასა და გამოყენებაში ობიექტურობის, სამართლიანობის პრინციპის რეალიზაცია მკაცრი, ჭეშმარიტი გაგებით (და არა ილუზიური წარმოდგენით)**, რის გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი შეფერხდება და შესაძლოა მან უკუქცევაც განიცადოს.

მოგების ობიექტურ და სამართლიან განაწილებასა და გამოყენებაზე გადასვლის შედეგები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის მიხედვით.



ნახ. მოგების ობიექტური (სამართლიანი) განაწილებისა და გამოყენების სოციალური შედეგის მოდელი

ამგვარ პირობებში გამოირიცხება მოგების წარმოქმნისა და გამოყენების ნეგატიური შედეგები (უსამართლობა, ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუკუღმართება, როცა მას კუთვნილი წილის მიხედვით არ იღებენ და რაციონალურად არ იყენებენ), ამასთან დაკავშირებული **ბოროტება**, რაც დღემდე საბაზრო ურთიერთობათა თანამგზავრია. მოგება მხოლოდ ასე გახდება **სიკეთის** წყარო.

თანამედროვე ცხოვრების რეალობაში მოგების უსამართლო განაწილება და სოციალურად არასაკმარისად სასარგებლო, არასწორი გამოყენება აშკარად შესამჩნევია. იგი არის **ადამიანთა ნაწილის მიერ უზარმაზარი, ზედმეტი სიმდიდრის დაგროვების, ჭარბი (ზედმეტი) მოხმარების** ერთ-ერთი მიზეზი. **ზედმეტი სიმდიდრე და ზედმეტი მოხმარება ჯანსაღი, გონივრული მიდგომის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული, როგორც დოვლათის დანაკარგი ქვეყნებისა და კაცობრიობისათვის**. ამგვარი დანაკარგების გარეშე კაცობრიობის საერთო კეთილდღეობის პრობლემათა სიმწვავე ბევრად შემცირდებოდა. ის ცხოვრების ერთ-ერთ არასასურველ თანამგზავრად რჩება ყველა ქვეყანაში.

აქედან გამომდინარეობს, რომ სადღეისოდ **კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა უსამართლობის, საერთოდ, და განაწილების სფეროში, კერძოდ, არსებული არასამართლიანი წესების, გაუკუღ–მართების დაძლევა**. Мოგების ობიექტური მითვისება და გამოყენებაМმთელი შემოსავლების განაწილებისა და საერთოდ სამართლიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. საზოგადოება მით უფრო ჰუმანური, ცივილიზებული და პროგრესული გახდება, რაც უფრო მეტად გადაიჭრება ეს პრობლემა. საამისო გზები არსებობს. **მათ ზოგად პრინციპებს – მიზანშეწონილობას, დამსახურებას (პირად წვლილს) და ალტრუიზმის მოტივს** მოკლედ ზემოთ შევეხეთ, უფრო კონკრეტული საკითხების განხილვა კი ცალკე მსჯელობის საგანია, რაც ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

დასკვნა

მოგების მითვისებისა და გამოყენების ზემოაღნიშნული სამართლიანობისაკენ მიმართული ტენდენცია ემყარება **უწინარესად სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა, პირველ რიგში, საკუთრებით და შრომით ურთიერთობათა პროგრესულ ცვლილებებს, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების ინტელექტუალური, საერთო-კულტურული დონის ამაღლება, საწარმოო-ტექნოლოგიური ძვრები, ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე გადასვლა.** ხდება საკუთრების კოლექტიური, ჯგუფური, დემოკრატიული ფორმის ადგილისა და როლის ზრდა საზოგადოების ცხოვრებაში, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მომძლავრება, შემოსავლების განაწილებისა და მითვისების წესზე მათი გავლენის გაფართოება. საზოგადოება სულ უფრო მეტად აცნობიერებს ერთეულების, ოლიგარქების ეკონომიკასა და ცხოვრებაზე ბატონობის, მათ მიერ შემოსავლების დიდი ნაწილის მითვისების და თავისი ნების მიხედვით გამოყენების არამართლზომიერებას, რაც ცივილიზებული საზოგადოებისთვის არ შეიძლება ნათელი არ იყოს. ამიტომ, ადგილი აქვს მშვიდობიან, მაგრამ პროგრესულ ცვლილებებს, საზოგადოებრივი (კოლექტიური, აქციონერული, ჯგუფური, კერძო-კოლექტიური – ჰიბრიდული) საკუთრების _ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის შესატყვისი ფორმების წილის ზრდას ეკონომიკაში, რასაც მოსდევს განაწილების სამართლიანობის ხარისხის ამაღლება.

მაღალცივილიზებული საზოგადოება ვერ მოითმენს უსამართლობის, შემოსავლების მითვისებისა და გამოყენების მახინჯ, მათ შორის შენიღბულ, ფორმებს. იგი თანდათან გადადის და საბოლოოდ მშვიდობიანი წესით აუცილებლად გადავა ობიექტურ, ადამიანურ ურთიერთობებზე შემოსავლების, მ. შ. მოგების მითვისებასა და გამოყენებაში. ამას კანონზომიერად ამზადებს თანამედროვე ეკონომიკური სისტემა და ცივილიზაცია. ეს, თავის მხრივ, **იქნება კარდინალური ცვლილება, პროგრესული ნახტომი საზოგადოებრივი პროგრესის გზაზე.**

Giorgi Malashkhia

Metatheory of Profit

A New Vision

Summary

There are different theories about profit. However, none of them give a comprehensive and accurate idea about profit and do not reveal sufficiently its essence, social nature, sources and consequences of its utilization.

It would be fair to define profit as a pure income attributed to the economic agent who benefits from it not according to its contribution to the creation of this income. The source of the profit is a pure product – difference between Gross Product and Production Costs, i.e. product, created by some free/gratis manufacturing factors. Profit can be crated by users owing to the fact that there are resources, which are available for free or are only partially priced (for example extraction and utilization costs of natural resources). Among these free/gratis resources are: solar energy, climate, minerals, historical heritage – knowledge, scientific discovery, inventions, ideas and spontaneous processes, law of functioning of economy and society, etc. These are valued partially or are not priced at all and are available free of charge. This means that these resources are not internalized in economical (commercial) relations. At the same time, result of their utilization – product – has value on the market. The value of this product exceeds expenses required for its creation.

In general, pure product, as an economic good, is created by set of different production factors rather than by single factor. Due to the fact that every production factor uses free natural and historically inherited resources, its contribution to creation of good exceeds input. Profit is generated as a result of distribution and redistribution of the pure product and is appropriated by economic agents based on existing social conditions for income distribution and redistribution: private ownership, mechanisms of market economy – price, monopoly and different non-economic forms of violence, etc. The end users of the profit are owners of the capital, state, working agents (hired labor, others), criminals, etc. Due to property advantages and economic power, major part of the profit is appropriated by owners of the capital.

Existing order of creation and utilization of profit contributes to generation of partly unfair appropriation, since the profit of economic agents does not correspond to their input in creation of the pure product. This is accompanied by many negative events in society – unjustified inequality, violation of moral principles, non-rational, inefficient consumption, social tensions, unrest, etc.

Development trends should lie in merging owner of capital and labor in the same economic agent. As a result, contribution to the creation of source of the profit and

generated profit becomes close to the equitable. This would be accompanied by exchange of roles between capital and labor in distribution of profit and economic relations in general, real democratization of property, harmonization and humanization of economy and society, liberation from all inequality, tension in society, etc.

დამატება

გამოხმაურებები გ. მალაშხიას ნაშრომზე, რომელიც რუსულ ენაზე 2007 წელს გამოიცა

О книге Георгия Малашхия ,,Метатеория прибыли . Что на самом деле есть прибыль ? “

О прибыли в экономической науке существует множество взглядов, рассматривается она с различных сторон. Взгляды о ней изменялись. Это известно. При этом отрицание того, что могут быть новые соображения о ней, ее толкование с новых сторон, было бы неоправданно. Наука же не может удовлетворяться существующими знаниями о любых явлениях, в т.ч. и экономических. Поэтому поиск новых, более верных пониманий вещей должен быть встречен с одобрением.

Георгий Малашхия в его новой книге делает присущую. ему вообще попытку оригинально, с новых углов зрения, в широком социологическом и социально-философском ракурсе представить нам довольно известную категорию - прибыль. По- новому в книге толкуются источники, механизм возникновения, социальная сущность, функции, использование и перспективы изменения способов ее получения, присвоения и использования.

В книге прежде всего дается краткое критическое рассмотрение существующих в экономической науке взглядов (теорий) о прибыли. Автор аргументирует неадекватность или недостаточную полноту этих теорий, необходимость более широкой и фундаментальной теории прибыли. По его мнению, теории прибыли в основном идеологизированы, оторваны от объективного ее содержания, как правило, изложены в соответствии с интересами отдельных слоев населения. Г. Малашхия считает, что неверно представить прибыль как результат одного из факторов производства – труда, капитала, предпринимательской способности, а также таких условий как ожидание, риск, неопределенность. Не разделяет он мнение об отсутствии прибыли в условиях совершенной конкуренции. Неверна, по автору, и та концепция, что прибыль в сущности – это лишь переливание стоимости из одних субъектов к другим, а не возрастание благ в целом в обществе.

Попытки Г. Малашхия направлены на то, чтобы доказать, что: прибыль вообще, в первую очередь, означает возрастание благ в обществе; ее первичным источником является чистый продукт, т.е. превышение результатов деятельности людей над затратами. Этому понятию придается в данном случае новое, более глубокое, ключевое значение, чем известно в экономической науке еще со времен физиократов. Чистый продукт в дальнейшем становится чистым доходом конкретных субъектов, т.е. принимает форму прибыли. В этом процессе чистый продукт может переливаться, и незаслуженно, из одних рук в другие, благодаря рыночному механизму. Но это не меняет главной сущности прибыли.

Одним из коренных вопросов, поставленных в книге автором, является объяснение образования чистого продукта как источника (прообраза) прибыли. Г. Малашхия ставит логичный вопрос: откуда возникает результат деятельности людей, превышающий затраты, тогда как из ничего не возникает ничто? По автору, существующие концепции толкования получения таких результатов (чистого продукта), благодаря использованию прогрессивной технологии, улучшенных методов организации производства, высокой квалификации и т. п., являются неглубокими, поверхностными. Как и на какой основе происходит получение больших, по сравнению с затратами, благ? Должного ответа на этот вопрос нет.

Г. Малашхия обосновал оригинальную концепцию, в основе которой лежит идея феномена социальной энергии и ее исключительных свойств. Используя генетический подход, он доказывает, что социальная энергия - концентрированное выражение благосозидающего потенциала общества - образуется усилиями людей, производящих материальные и нематериальные блага с применением платных и совершенно или частично бесплатных источников. Этими источниками являются: природные силы и условия; ,,работа истории“ (предыдущих поколений, созданные и накопленные ими знания, опыт, технические образцы, предметы и т.д., выкупившие себя и работающие безвозмездно, подобно природным силам); креативные способности (изобретательский талант) самих людей; безресурсные источники – законы и закономерности природы и общества, объективные процессы, работающие на людей (разделение и кооперация труда, распространение и концентрация новаций и пр.). К этому добавляются особые свойства ряда источников социальной энергии - то, что они не расходуются, не изнашиваются в процессе применения, а также не рассеиваются. Именно использование этих источников социальной энергии, по автору, позволяет получить чистый продукт (продукт, превышающий затраты) – первоисточник прибыли. Такова вкратце новая концепция образования прибыли, разработанная Г. Малашхия, исходящая из его основных взглядов, изложенных в книге ,,Метаэкономика – философия экономики“ и углубленных в данной работе.

Но чистый продукт, по автору, еще не есть прибыль. Он превращается в прибыль благодаря распределительным отношениям, в результате которых этот продукт присваивается отдельными субъектами. Проблема сущности прибыли

не завершается этим. Далее ставится вопрос о соответствии присвоения прибыли отдельными субъектами с их заслугами – вкладом в создание чистого продукта, т.е. с принципом справедливости. Автор это считает одним из ключевых вопросов теории прибыли и практики цивилизованного общества. Г. Малашхия доказывает, что фактическое распределение прибыли, соответствующее современному экономическому устройству, с точки зрения фундаментального критерия - вклада в ее создание, несправедливо, необъективно. Рыночный механизм сосредоточивает ее главным образом в руках владельцев экономической власти, тогда как ее образование, как было отмечено выше, является результатом использования бесплатных ресурсов, в чем решающую функцию выполняет в первую очередь труд. При этом автор предлагает расширенный взгляд на прибыль, в том смысле, что получателями прибыли считает и индивидуальных производителей (ремесленников, крестьян, людей интеллектуальной профессии, вообще работников, не использующих наемного труда).

Исторической тенденцией автор считает возрастание роли труда, как решающего фактора производства и возникновения чистого продукта (источника прибыли), благодаря чему произойдет слияние труда и капитала, труд и общество становятся главными получателями прибыли. Идея не простая, возможно спорная, но затрагивающая кардинальный вопрос экономической жизни и теории, на которую у автора имеются веские аргументы, заслуживающие внимания.

Весьма интересным нам представляется рассмотрение автором прибыли с точки зрения общечеловеческих ценностей и антиценностей – добра и зла, что расширяет понимание сущности прибыли.

Новая книга Г. Малашхия является развитием его взглядов, изложенных в монографии „Метаэкономика – философия экономики“. Ее можно считать неординарным исследованием, в котором сделаны попытки изменить существующее представление об одной из главных экономических категорий и не только о ней. Она подталкивает экономическую мысль к новым поискам. Эта книга, на наш взгляд, выполнит положительную роль в развитии экономического мышления, и ее появление можно считать положительным фактом.

Михаил Рокетлишвили ,
доктор экономических наук, профессор,
почетный член Национальной академии Грузии,
действительный член Нью-Йоркской академии наук

„Метатеория прибыли “ Георгия Малашхия

Смелые идеи для науки - как свежий воздух для организма. Они придают новое дыхание научной мысли, разрушают устаревшие, устоявшиеся в сознании людей взгляды, не отвечающие требуемому уровню познания явлений и вещей, движению к истинному представлению о них. Критический пересмотр существующих представлений и формирование новых воззрений крайне необходимы в наше время, в эпоху быстрого обновления общественной жизни. Факт, что общественное сознание о многих вещах - далеко от истины. Без освобождения сознания людей от ложных и искаженных представлений о социально-экономических явлениях трудно будет решать насущные проблемы практики и ее прогресса.

Георгий Малашхия – известный автор многих новаторских идей об экономических и социальных явлениях и процессах - предстает перед нами в новой книге ,,Метатеория прибыли. Что на самом деле есть прибыль?“ как исследователь категории прибыли в оригинальном, фундаментальном, расширенном, экономико-философском и социально-философском аспектах. В этом можно убедиться, вдумчиво прочитав эту небольшую по объему книгу. Как нам представляется, оригинальные суждения и положения автора вызовут интерес у многих лиц, заинтересованных глубокими теоретическими пластами этой крайне сложной и важной экономической категории.

Исследование Г. Малашхия отличается от существующих по этой теме работ применением автором углубленного метатеоретического подхода для раскрытия коренной социальной сущности, источников и механизма возникновения, распределения (присвоения) и использования прибыли. В частности, автор использует антропоцентрический (в новом толковании), генетический, энтропийный, аксиологический и эвдемомнический подходы (видения), примененные им в прежних работах, что позволяет ему создать новую теоретическую концепцию прибыли.

Автор под новым углом зрения раскрывает процесс образования источников прибыли и самой прибыли. Прежде всего это касается чистого продукта (по толкованию автора, продукта, превышающего затраты на производство благ), а также распределения этого продукта между экономическими субъектами, присвоения и использования ими, как способов процесса существования прибыли. Прибыль в концепции Г. Малашхия предстает перед нами как результат исторического развития, использования человеком на этой основе сил природы и своего интеллектуально-физического потенциала, трудового опыта. Она, по автору, связана с социальной энергией (понятие, введенное Г. Малашхия в своем труде ,,Метаэкономика - философия экономики“ для обозначения совокупного благосозидающего потенциала общества), с особыми ее источниками и свойствами. Образование чистого продукта автор объясняет исключительно на основе бесплатности с генетической точки зрения множества источников

социальной энергии (иначе невозможно понять возникновение благ, превышающих затраты, т.е. из ничего).

Категория чистого продукта как основы возникновения прибыли, у Г. Малашхия заполнена глубоким содержанием, показаны ее исходная роль в возникновении прибыли, характер и механизм источника общественно-экономического прогресса.

Нам представляется, что может вызвать большой интерес у теоретиков социально-экономических отношений обоснованная автором концепция современного способа и развития в перспективе распределения чистого продукта и образования прибыли отдельных экономических субъектов. Вывод о переходе в перспективе от присвоения прибыли на основе экономической власти к способу получения ее, исходя из трудового вклада в производство продукции, благодаря окончательному обретению трудящимися (имеются в виду все работающие, включая предпринимателей) решающей роли в создании благ, а также тенденции слияния труда и капитала. Она уже проявляется в настоящее время.

На основе новой метатеории прибыли становится возможным объяснить многие явления, как: чрезмерную имущественную неравномерность, несправедливое распределение доходов, власти (экономической и даже политической), статуса людей, ряд изъянов современной жизни.

Было бы несправедливо не обратить внимания на попытку автора видеть прибыль в широком социально-философском аспекте общечеловеческих ценностей, как носителя добра и зла, а также с точки зрения источника счастья или бед для отдельных людей и человечества в целом. С этим сопряжены пути гуманизации экономической жизни и экономических отношений.

Одним словом, новая метатеоретическая работа Г. Малашхия многоплановая. Это - попытка исследования социально-экономических явлений путем глубокого и широкого видения. Мы не утверждаем, что в книге нет дискуссионных положений. Наоборот, дискуссия может быть развернута по многим проблемам, затронутым автором. Однако аргументации автора достаточно убедительны и могут найти, на наш взгляд, многих сторонников, как и, конечно, найдутся ,,неверующие Фомы “, которых трудно в чем – либо убедить и мнение которых мало полезно для науки. Думается, бесспорно и то, что эта книга будет способствовать плодотворным научным поискам с целью развития экономической теории на основе свежих прогрессивных идей и в соответствии с новыми требованиями жизни и науки.

Вахушти Парцвания

доктор философских наук, профессор, главный редактор международного журнала ,,HOMO ESPERANS “.

* * *

Следует подчеркнуть, что эта небольшая по объему книга содержит много научных новшеств. Автор смело предлагает читателям оригинальные суждения о сложной, пока еще не до конца познанной категории – о прибыли. Читатель вынужден глубоко задуматься над авторскими мыслями, хотя, разумеется, он имеет право по многим положениям не согласиться с автором. Такое право оставляю за собой и я, как рецензент. Это ни в коем случае не уменьшает достоинства этого труда, который читается с большим интересом. Он должен быть предложен читателям именно в представленном виде, что будет способствовать развитию критического, творческого мышления экономистов-исследователей.

Реваз Гогохия,
доктор экономических наук, профессор,
главный редактор журнала „Социальная экономика “.

* * *

Современное глубокое исследование экономических явлений не может обойтись без фундаментального, философского подхода, который весьма продуктивно применяется профессором Георгием Малашхия в своих работах последних лет. Этот подход позволяет ему с новых сторон раскрыть явления экономической жизни, увидеть их перспективу. И в данной работе авторская концепция прибыли, на наш взгляд, оказывается плодотворной для исследования социально-экономических отношений.

Заслуживает внимания старание автора нетрадиционно объяснить возникновение источников, механизм получения и присвоения экономическими субъектами прибыли. В частности, интерес представляет позиционируемая автором связь прибыли с общечеловеческими ценностями добра и зла. Известно, что богатство общества вне ценностей порождает деструктивные силы. Данная работа выдвигает оригинальную теоретическую концепцию и, бесспорно, привлечет внимание экономистов, философов и социологов.

Людмила Антонова,
доктор философских наук, профессор.

რედაქტორი ლ. მამალაძე

გადაეცა წარმოებას 13.11.2012. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12. 2012.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16 . პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13.
ტირაჟი 100.

საგამცემლო სახლი ,, ტექნიკური უნივერსიტეტი “. თბილისი, კოსტავას 77.

ავტორის შესახებ

გიორგი მალაშხიას მეცნიერული ინტერესები მრავალმხრივია. განსაკუთრებულ ადგილს იგი უთმობს ეკონომიკის, კერძოდ, და ადამიანთა ცხოვრების, საერთოდ, ჰუმანიზაციის პრობლემებს. მეცნიერების როლს იგი ხედავს ამ პრობლემათა გადაწყვეტაში სოციუმის მოვლენათა სიღრმისეული წვდომით, ცხოვრების ობიექტური კანონებისა და კანონზომიერებათა შესახებ ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე. მის მიერ ცხოვრების ჰუმანიზაცია წარმოდგენილია საზოგადოების პროგრესის კრიტერიუმად. მისი თვალსაზრისით, ჰუმანიზაციის ამოსავალ პირობებად გვევლინება მარადიული საკაცობრიო მეტაფასეულობები _ ჭეშმარიტება, ზნეობა, სამართლიანობა, თავისუფლება, მშვენიერება (ესთეტიკურობა) და ა.შ.

ადამიანურ ფასეულობათა წყაროს გიორგი მალაშხია უწინარესად ეძებს თვით ადამიანში, საერთოდ, ინტელექტუალურ-კულტურულ პროგრესში, კერძოდ. მისი ძირითადი პოსტულატია: როგორიც ადამიანია, რა თვისებების მატარებელიცაა ის, ისეთია ცხოვრება, ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და სხვ. გიორგი მალაშხიას მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა ზრდის ძირითად წყაროდ წარმოდგენილი აქვს საზოგადოების სოციალური ენერგია _ ფასეულობათა შემქმნელი უნარები, ბუნებისა და ისტორიულ-მემკვიდრეობითი მუქთი (უსასყიდლო) თუ ნაწილობრივ უსასყიდლო რესუსების გამოყენება. პროგრესი გამოიხატება ფასეულობათა მარაგებისა და მათი მეშვეობით მატერიალური და სულიერი სიმდიდრის _ სიკეთეთა გადიდებაში. სიმდიდრეთა ზრდის, განვითარების ყოველი ახალი ეტაპის ფასდაუდებელი საფუძველია უკვე მიღწეული დონე, წინამორბედ თაობათა ღვაწლი.

საზოგადოების პროგრესის შეფერხების მიზეზთა _ ადამიანის მანკიერებათა და ხარვეზების, უსამართლობათა დაძლევის უმნიშვნელოვანეს პირობად გიორგი მალაშხიას მიაჩნია ისტორიის ერთადერთი აქტორის - ადამიანის განვითარება. პრობლემათა და მანკიერებათა უდიდესი ნაწილი შექმნილია თვით ადამიანთა მიერ და შეიძლება დაიძლიოს მათ მიერვე და მათი სრულქმნითა და სულიერი ამაღლებით.

გიორგი მალაშხია 200-მდე მეცნიერული ნაშრომის ავტორია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. მან ჩამოაყალიბა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ორიგინალური თეორია, რომელიც შემუშავებულია მის მიერ შემოღებული ანთროპოცენტრული მიდგომის, აქსიოლოგური და ევდემონისტური ხედვის, გენეტიკური განსჯის და სხვა მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სოციუმის პროცესების ახსნისა და გაგებისათვის შემოთავაზებული სოციალური ენერგიის უნივერსალური კატეგორიის საფუძველზე. ძირითადი ნაშრომები: ავტომატიზაცია: სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (1985); მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია (1995); მოგების მეტათეორია. რა არის სინამდვილეში მოგება? (2007); ადამიანური ეკონომიკა (2009); ცხოვრების ჰუმანიზაცია, როგორც მდგრადი განვითარების იმპერატივი (2011); განვითარების ფილოსოფიის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი (2011); და სხვა.